საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბოქდ-ვეული სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიერებით ბეტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 28 ივნისი. 2016 წ. №118 (8010), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

თინა სპასალარის თავხედობა თუ...

გიორგი კვირიკაშვილი: სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმებას მთავრობის სხდომის და უშიშროების საბჭოს ფორმატში განხილვა სჭირდება.

ირაკლი სესიაშვილი: თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილება პოლიტიკურად უპასუხისმგებლოა!

თამაზ მეჭიაური: არის ქვეყნები, სადაც არავინ არაფერზე აგებს პასუხს, შეუძლიათ, იქ წავიდნენ და იქ იდეზერტირონ.

3

ნუკრი ქანთარია: „წინასაარჩევნო სვლა“ და მინისტრის თვითშემოქმედება.

რას ჩაუყარა საფუძველი ნისლიანმა ალბიონმა და როგორ იმოქმედებს ეს ჩვენზე?

3



სირიაში რუსეთის აქტიურობამ ვაშინგტონის მოთმინების ფიალა აავსო!

8

სანკტ-პეტერბურგის ფორუმის გაკვეთილები

გაზზე მომუშავე მანქანების შესამოწმებლად ყველაფერი მზადაა

11

სოცმუშაკი, პოლიცია და დაჩაგრული მოზარდი

9

მოგზაურობა დროსა და სივრცეში ნათელა ნიკოლაძესა და ნინო სტიუარტთან ერთად

6

თხლეიბორისტი შალიკოდან – პროვოკატორ გვარამიამდე...

რასაც ხალხი ამ დღეებში ლაპარაკობს...

– **აჩრდილი** დადის ამერიკის შეერთებულ შტატებში, აჩრდილი თხლეიბორისტი შალიკო ნათელაშვილისა, რომელიც ნიღაბჩამოხსნილი მსტოვარია, წინასაარჩევნოდ სამშობლოსა და საკუთარი სახელმწიფოს სალანძღავად მივლინებული ნაციონალებისგან, რაც XXI საუკუნეში პატრონ-ყმობის აშკარა მაგალითია.

* * *

– **მერაბიშვილ** ვანუას თურმე საკანში მარტო ყოფნა უჭირს და თანამესაკნედ ასევე მარტოობით გაბეზრებულ უგულავას ითხოვს. არადა, ნამდვილად უპრიანი იქნება, თუ უგულავას კი არა, თავისავე ცოლს, გირგვლიანის უსასტიკეს მკვლელობაში არანაკლებ დამნაშავეს, თაკო სალაყაიას მივუსვამთ. უფრო გაართობენ ერთმანეთს და იქნებ ახალი მემკვიდრე ააჩხავლონ ციხის კედლებში...

* * *

– **ნენა**, ნენა, ამ ნეოფაშისტ ააკაშვილს მართლა რამე საქმე რომ ჰქონდეს ოდესაში, ასე იორქშირის ღორივით რა გაასუქებდა?! კარებიდან არ უშვებდნენ, ის კი ფანჯრიდან ძვრებოდაო, სწორედ ამ უსინდისო კაცზეა ნათქვამი. ეს ფანჯარა ამ შემთხვევაში „ცრუსთავი-2“-ის კიკალიშვილისეული ანტისახელმწიფოებრივი შხამით გაჟღენთილი პოსტკრიპტუმული ეკრანია, საიდანაც დროდადრო მოიწევს, როგორც თვითონვე უნამუსოდ აცხადებს, ვითომ საკეთილოდ განახლებულ ნაციონალთა ვითომ ხალხის საკეთილოდვე განახლებული ფიურერი.



ეს დაახლოებით იგივე ხომ არ არის, რომ გერმანიაში კაციჭამია ჰიტლერი გაცოცხლდეს და, როგორც უკვე ვითომ ხალხის სასიკეთოდ გარდაქმნილ-განახლებულმა, ისევ ქვეყნის სათავეში მოსვლის სურვილი განაცხადოს?!

* * *

– **ღვთისაგან** და ერისგან განწირული და შავწყალწაღებული ნაციონალები ახალ პროვოკაციულ ხავსს ჩაეჭიდნენ. კიწმარიშვილის სიკვდილი თავიანთ გასაცოცხლებელ შანსად წარმოაჩინეს, ოღონდ ძალიან, ძალიან შეფარულად. ივანიშვილს უთხრაო, როცა „რუსთავი-2“-ზე ლაპარაკს იწყებ, ჯერ მე ჩამხედე თვალებშიო. რის ხალვაში, რა ხალვაში, ამ არხის ნამდვილი მფლობელი მე ვარო... ჰოდა, თავისივე წინადღით ნაყიდი იარაღით გაასაღეს ეროსიო. აშკარად, გზიდან ჩამოიცილესო... პროკურატურას ივანიშვილმა თვითმკვლელობის მუხლით დაახურინა საქმეო...

ერთი სიტყვით, გვარამიას დემაგოგიასა და პროვოკაციას საზღვარი არა აქვს.

* * *

– **ნუთუ** მართლა ასე ძნელია მართალი სიტყვისა და სიცრუის ერთმანეთისგან გარჩევა?! მაშ, აბა, რატომ ძვრება გველის ხვრელში სხვის ქონებას გენერალურ დირექტორად მომჯდარი ცხრა თხლიან ქვევრზე გადამხტარი, გულის ამრევად ახირებული, ძალადმაცხონე გვარამია, რომ თავისი უკვე ამძაღებული, მყრალსუნიანი სიცრუე გამტკიცულ სიმართლედ გაასაღოს?!

ამას არა მარტო ნაძალადევი თანამდებობის, არამედ სხვისთვის ყაჩაღურად წართმეული სატელევიზიო არხის უბოროტესად გამოყენება ჰქვია!

ჩაიწერა
გურამ წიკლაურმა

ისევ ნანა თოდუა და თამარ ლალიაშვილი

პრეზიდენტი პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად ისევ ნანა თოდუასა და თამარ ლალიაშვილის კანდიდატურებს სთავაზობს.

როგორც პრეზიდენტმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მოსამართლეობის მესამე კანდიდატურასთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს.

იმ კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც გამაჩნია, ისევ წარვადგენ ნანა თოდუას და თამარ ლალიაშვილის კანდიდატურებს. ეს არის მათთან შეთანხმებით მიღებული გადაწყვეტილება, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ამასთან, პრეზიდენტი მოუწოდებს პარლამენტს, მხედველობაში მიიღოს უზენაესი სასამართლოში არსებული პრობლემები და მხარი დაუჭიროს მის მიერ წარდგენილ კანდიდატურებს.

პრეზიდენტმა მზაობა გამოთქვა, რომ საჭიროების შემთხვევაში პარლამენტის საგანგებო სხდომაც დანიშნოს.

– მინდა ასევე გამოვთქვა რწმენა, რომ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს სწორედ მერვე მოწვევის პარლამენტი. ჩვენ ვართ ინფორმირებული, რომ პარლამენტი სექტემბერში აპირებს შეკრებას. თუ სექტემბრამდე იქნება საჭირო, მზად ვარ მხარი დავუჭირო საგანგებო სხდომის მოწვევას. დარწმუნებული ვარ, ამ ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას პარლამენტი მოეკიდება ინტერესით და ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი კავკასიაში

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი 29 ივნისს ორდღიანი ვიზიტით სომხეთს ეწვევა.

როგორც ცნობილია, შტაინმაიერი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს – აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს ეწვევა.

სომხური მედიის ინფორმაციით, აზერბაიჯანსა და სომხეთში ვიზიტის დროს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხის განხილვა იგეგმება.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს ივლისის დასაწყისში ეწვევა.

ზურაბ აბაშიძე: პრაღაში შეხვედრა გიგა ოთხოზორიას საკითხით დაიწყო

პრაღაში აბაშიძე-კარასინის ფორმატის მორიგი შეხვედრა მიმდინარეობს. შეხვედრაზე პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე სოფელ ხურჩაში გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას.

გარდა ამისა, მხარეები სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, სატრანსპორტო კომუნიკაციებს და ორ ქვეყანას შორის არსებულ ჰუმანიტარულ პრობლემებს განიხილავენ.

საუბარი ასევე შეეხება რუსეთში ჯაშუშობის ბრალდებით პატიმრობაში მყოფ საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლების საკითხს.

რობერტ სტურუა: თეატრის ერთგული მონა თავისუფალია!

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი რობერტ სტურუა თეატრის შესახებ მოკლე წერილს გვთავაზობს:

...ვინ უნდა ემსახუროს თეატრს (დაწერილი უძილობის დროს), შესაძლოა თარიღები მეშლება (როგორც მეზობლებს), რათა თავისი წარსული უფრო შორს გადავწიო და ამით უფრო დიდი წონა შევიძინო (თითქოს არ კმარა, რასაც ვიწონი!) რუსთაველის თეატრში 1956-57 წელს შემოვტოპეთ – ბატონი დოდო ალექსიძე „ჰამლეტს“ დგამდა და უწვერ-ულვაშო რეჟისორები, მაესტროს ვითომ ვეხმარებოდით. და მას შემდეგ აქ ვარ, ამ საოცარ ტაძარში, მაგიითა და საიდუმლოებით მოცულ, მომაჯადოებელ სივრცეში.

ამჟამად მინდა ჩვენი თეატრის მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან თვისებას შევეხო – იმას, რასაც ცხოვრებისეული ლოგიკით ვერ ახსნი. თუ თეატრის სული (თუ სუბსტანცია) არ მიგიღებს, არ შეგიყვარებს და ჩათვლის, რომ არ გაქვს უფლება მას ემსახურო, გაგრიყავს, გაგაძევებს, ისეთ აუტანელ პირობებს შეგიქმნის, სანამ გაბოროტებული, ცრემლიანი, ასეთი სასტიკი უსამართლობით გამწარებული, არ მიატოვებ ამ თავისუფლების, ტკივილის და ბედნიერების სამყაროს. რას იზამ, არ მიგიღო, ვერ გაუგე – და მორჩა! როგორც სკოლაში, ყველა რომ ლაღობს, უხარიათ, დახტიან მერხებზე, შენ კი არავინ გამჩნევს, დგახარ კედელთან აყუდებული და ვერ გაგიგია, რატომ გარგუნა განგებამ ასეთი მწარე ხვედრი. წასვლაც არ გინდა, შენზე უღირსნი ნებივრობენ თეატრის კალთას ამოფარებული, შენ კი მარტო ხარ, ხვდები, იცი, რომ უნდა წახვიდე და ვერ მიდიხარ, წახვალ და იქ აღმოჩნდები, სადაც არ გინდა ყოფნა.. მაგრამ გირჩევთ ყველას – სცენის მუშებს, ბუღალტერიას, ვითომ საქმიან, ლეპტოპიან ადმინისტრაციას, პიარის მუდამ აღელვებულ ჯოგს, შიშის გამო შურით რომ სკდებიან, მსახიობებს, რეჟისორებს, ტვინარეულნი, დაბნეულნი რომ დაბოდიალობენ და დამცირებას ამბიციის ფარით ხვდებიან.

ო, რამდენჯერ ვაპირებდი წასვლას, სამჯერ განცხადება დავწერე – დამიხიეს, ერთხელ გამაგდეს იმ მამაცხონებულებმა. არ უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ მაცდუნა იმ ჯადოსნურმა ძალამ, გვიან მივხვდი, რომ ბოლო გამოცდა მომიწყო ეჭვით შეპყრობილმა: „აბა, ვნახოთ, რა ძალით მეტრფი, თუ გაქვს ტრაკი (დიახ, დიახ – ეს სიტყვა იხმარა) შენნაირმა მოხუცებულმა, შენი ერთგულება ღდინამდე დამიმტკიცო, დაგასაჩუქრებ.“ და დამასაჩუქრა!

თქვენ კი დროზე დატოვეთ ეს წმინდა ადგილი! თვითონ თუ არ გაგიხსნათ თავის ჯადოსნური ნიჟარა, უბედურნო, ვერასოდეს იხილავთ იმ უცხო სხივს, რის გამოც აქ ვართ, მონებად ქცეულნი! ბოლო საოცრება კი ის არის, რომ თეატრის ერთგული მონა, თავისუფალია, როგორც არავინ! მაგრამ მონებს თეატრის სული თვითონ ირჩევს... **(სტილი დაცულია).**

არავითარი MAP-ის მსგავსი დოკუმენტი ჩვენ არ მოგვითხოვია!

ჩვენ გვაქვს ნატო-საქართველოს ერთობლივი პაკეტი, რომელიც თავისი არსით, პრაქტიკული შემადგენლობით არის ყველაზე უფრო მაღალი ხარისხის დოკუმენტი, რაც ნატოს რომელიმე ქვეყანასთან ურთიერთობაში ოდესმე შექმნილა, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე და ალიანსთან სამომავლო კავშირის პერსპექტივებზე საუბრისას.

არავითარი MAP-ის მსგავსი დოკუმენტი ჩვენ არ მოგვითხოვია და შესაბამისად, არც ამის მოლოდინი გვაქვს. ჩვენ ვითხოვეთ კონკრეტული პროექტები, კონკრეტული რესურსებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსებით იმისათვის, რომ იმ მიმართულებებში, რაც დღეს საქართ-

ველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, იქნება ეს ზღვის მიმართულება, საჰაერო თავდაცვა, ავიაცია თუ სხვა, ვიცოდეთ ვისგან რა ტიპის დახმარებას უნდა ველოდეთ, რა ვადებში და რა იქნება ფაზები, როდესაც ეს პროცესი დასრულდება. ეს არის, რასაც ველოდებით ჩვენ ვარშავიდან“, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ქართველი ჯარისკაცებისთვის ბრალის დადების გამო ბოდიში უნდა მოგვიხადონ

თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის განცხადებით, ცენტრალურ აფრიკაში სექსუალურ ძალადობაში ქართველი სამხედროების სავარაუდო მონაწილეობის საკითხზე გაეროს, ევროკავშირის სამშვიდობო მისიებთან და ნატოში დისკუსიები გაიმართა.

„ძალიან ბევრი დისკუსია გვქონდა როგორც გაეროს, ასევე ევროკავშირის სამშვიდობო მისიებთან, ბუნებრივია, ნატოშიც და არავის არ სჯერა ბრალდებების, მაგრამ ბრალდებები ძალიან მაღალი ტრიბუნებიდან გაისმა და მათზე პასუხები უნდა გაიცეს. რამდენიმე კვირის წინ ვიყავი გამოძიების წინასწარი შედეგებით გაეროს შტაბბინაში. ჩემი პოზიცია და მოთხოვნა არის ძალიან კატეგორიული, რომ ამ პროცედურების დასრულების შემდეგ, პრაქტიკულად, ბოლო ეტაპზე ვართ, იმავე ტრიბუნებიდან, იმავე სიმაღლიდან და იმავე პათოსით უნდა მოხდეს ამ ბრალდებების უარყოფა და ქართველ ჯარისკაცებს ბოდიში უნდა მოუხადონ!“ – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ანა დოლიძე თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტიდან გადადგა

თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას თავდაცვის უწყებაშიც ადასტურებენ. გავრცელებული ცნობით, ანა დოლიძე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იმუშავებს.

„დელტას“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე ვაკანსია გამოცხადდება

სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მოკვლევა დასრულდა და ახლო მომავალში „დელტას“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე ვაკანსია გამოცხადდება, – ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა მედიასთან შეხვედრის დროს განაცხადა.

მისი თქმით, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ ყოფილი ხელმძღვანელი უჩა ძოძუაშვილი თანამდებობაზე არ დაბრუნდება.

კახეთის რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლა. სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ უზრუნველყოფს.

ემზადებიან ქართულ-ამერიკული წვრთნებისთვის

ევროპაში აშშ-ის სარდლობის წარმომადგენლები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეწვივნენ. ამერიკელ სტუმრებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბესიკ ლოლაძემ უმასპინძლეს.

ვიზიტი ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლების „Jackal Stone“-ის მომზადების პროცესის ფარგლებში განხორციელდა. ვიზიტის მიზანი აღნიშნულ სწავლებაში ჩართული უწყებების ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრები და სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვაა.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთობლივი სამხედრო სწავლებების გამართვის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ მსგავს წვრთნებს საქართველოსთვის პრაქტიკულთან ერთად პოლიტიკური შედეგები მოაქვს. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ახლახან ჩატარებულ ქართულ-ამერიკულ სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2016“-ზე.

სავალდებულო გაწვევა გაუქმებულია!!!

თავდაცვის მინისტრმა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმების შესახებ ბრძანებას მოაწერა ხელი.

„ჩემი ერთ-ერთი დაპირება იყო სავალდებულო გაწვევის გაუქმება. მე ვთქვი, რომ 2017 წლიდან სავალდებულო გაწვევა აღარ იქნება. საქართველოს შეიარაღებული ძალები ღირსეულია და ყველას უნდა სურდეს იქ მსახურობა, ვისაც არ სურს, ძალით არ წავიყვანთ. მე თქვენი თანდასწრებით ვაწერ ხელს ბრძანებას, რომ სავალდებულო გაწვევა აღარ იქნება“, – აღნიშნა თინა ხიდაშელმა გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

...გაუქმებას მთავრობის სხდომის და უშიშროების საბჭოს ფორმატში განხილვა სჭირდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს მიაჩნია, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილებას მთავრობის სხდომის ფორმატში განხილვა სჭირდება. საქართველოს მთავრობის პრესსამსახურის ცნობით გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ საკითხი უნდა განიხილოს უშიშროების საბჭომაც. **„პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილება, მისი მრავალმხრივი ასპექტიდან გამომდინარე, საჭიროებს მთავრობის სხდომის ფორმატში განხილვას და შესაბამის დასტურს. პრემიერი ასევე მიიჩნევს, რომ საკითხი უნდა იქნას განხილული უშიშროების საბჭოს მიერ“,** – აცხადებენ პრესსამსახურში.

თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილება პოლიტიკურად უპასუხისმგებლოა!

სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის გაუქმებას არ ეთანხმება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი. დეპუტატი თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებას პოლიტიკურად უპასუხისმგებლოს უწოდებს და განმარტავს, რომ რადგან საკითხი ძალიან მგრძნობიარეა, ფართო და სერიოზულ მსჯელობას იმსახურებს, მათ შორის, მთავრობაში, პარლამენტსა და სამხედრო ექსპერტებში. **„მას მინისტრობამდე ორი კვირა დარჩა და ასეთ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას იღებს და ამბობს: მომავალ მინისტრს თუ არ მოეწონება, გააუქმოს. ეს არ არის სწორი ქმედება, მით უფრო, რომ შეთანხმებული არ ყოფილა არც პრეზიდენტთან, არც უშიშროების საბჭოსთან, არც პრემიერთან და არც თავდაცვის კომიტეტთან. ის ამბობდა, რომ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევა არ სურდა, ჩვენ ყველანი ვამბობდით, რომ გაწვევა საჭირო იყო“,** – აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

„არის ქვეყნები, სადაც არავინ არაფერზე აგებს პასუხს, შეუძლიათ, იქ წავიდნენ და იქ იდეზერტირონ“

თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტიელბას დეპუტატი თამაზ მეჭიაური აკრიტიკებს:

„თუ გავითვალისწინებთ იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომელთაც მართლაც აქვთ ამ ნაწილში წარმატება, თუნდაც ისრაელი, იქ მათ შორის, ვალდებული არიან ქალბატონებიც და არავისზე ნაკლები ღირსება არ გააჩნიათ და არავის გაუპროტესტებია, რატომ არის ეს. აქ რომ მამაკაცებსაც კი თავისუფლად მივცეთ უფლება – უნდა დაიცვან თავიანთი ქვეყანა და უნდა არა, მე არ მიმაჩნია სწორად. ეს გამოიწვევს ქვეყნის დემორალიზებას. ქვეყანა თუ უნდა დავიცვათ, უნდა დავიცვათ ყველამ და უნდა გვქონდეს ამის ვალდებულება. არის ქვეყნები, სადაც არავინ არაფერზე აგებს პასუხს, შეუძლიათ იქ წავიდნენ და იქ იდეზერტირონ ვისაც სურვილი ექნება“, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

„წინასაარჩევნო სვლა“ და მინისტრის თვითშემოქმედება

წინასაარჩევნო სვლას უწოდებს „ქართული ოცნების“ წევრი ნუკრი ქანთარია თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმების თაობაზე. დეპუტატი მიიჩნევს, რომ ასეთი გადაწყვეტილება, ასეთი თვითმოქმედებით თავდაცვის მინისტრმა არ უნდა მიიღოს. **„რამდენადაც ვიცი, ეს არ იყო შეთანხმებული არც პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან, არც პრემიერთან და არც პრეზიდენტთან. ასე რომ, გამოვიდა წინასაარჩევნო სვლა. ასეთი გადაწყვეტილება მთლიანად ხელისუფლებამ უნდა მიიღოს, მას სჭირდება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, რადგან არ არის სახუმარო საქმე. არა მგონია, რომ ასეთი თვითნებური გადაწყვეტილება სასიკეთო იყოს, თუმცა არც ტრაგედია არ არის, რადგან შემდეგ თავდაცვის მინისტრის, შეუძლია აღნიშნული ბრძანება გააუქმოს“,** – დასძინა ქანთარიამ.

„ჩვეულებრივი ადამიანების“ რევოლუცია დიდ ბრიტანეთში და საქართველო

რას ჩაუყარა საფუძველი ნისლიანმა ალბიონმა და როგორ იმოქმედებს ეს ჩვენზე?

23 ივნისი, 2016 წელი – ეს თარიღი ისტორიაში უკვე შევიდა.

ამ დღეს დიდი ბრიტანეთის მოსახლეობამ რეფერენდუმზე (სახელწოდებით: Brexit) თანაფარდობით 51,9%:48,1% მხარი დაუჭირა ევროპის კავშირიდან გამოსვლას.

ამ დღეს ევროკავშირში შემავალი წევრების რაოდენობა პირველად შემცირდა: 28-1-27. დარჩენილი 27 ქვეყნის გამოწვევა უზარმაზარია.

ამ დღეს დაირღვა მსოფლიოში არსებული პოლიტეკონომიური წესრიგი - დაირღვა დემოკრატიული პროცედურებით, თუმცა მსოფლიო პოლიტიკური მიწის ძვრის ეფექტით.

ეს რეფერენდუმი იყო გლობალიზაციის წინააღმდეგ პირველი წარმატებული „რევოლუცია“.

ეს „რევოლუცია“ მოახდინეს „ჩვეულებრივმა“ ადამიანებმა (საქართველოს მთავრობის წევრების – „არაჩვეულებრივი ადამიანების“ საყურადღებოდ). დიდი ბრიტანეთის „საშუალო კლასმა“, „უფულო ხალხმა“, „სოფლელებმა“ გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამ გადაწყვეტილებაში (ლონდონი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია მხარს არ უჭერდა). ეს გადაწყვეტილება პატრიოტიზმსა და ბრიუსელის მიერ ნაციონალური უფლებების შეზღუდვებისადმი პროტესტს დაეფუძნა.

ამ დღეს ბრიტანეთში შეშინების პოლიტიკა (დაშინება იმ მოსალოდნელი შედეგებით, თუ რეფერენდუმი ევროკავშირიდან გასვლას დაუჭერდა მხარს) – ჩავარდა!

რაც მოხდა, როგორც ამბობენ, მოხდა!

თუმცა აღმოჩნდა, რომ რეფერენდუმის შედეგების შემდეგ რა უნდა გაკეთდეს, არ იცის არც ერთმა პოლიტიკურმა მხარემ. არ ვიცით, რა იქნება, ამბობს მოქმედი მთავრობა. მათი ოპონენტები (გამარჯვებულები) ამბობენ, რომ არც მათ იციან, თუმცა გრძნობენ, რომ ყველაფერი კარგად იქნება (ისტორიის მობრუნება შეუძლია დედოფალს, რომელსაც აქვს ვეტოს უფლება, თუმცა ეს ვარიანტი ჯერ არავის არ დაუშვია).

აღმოჩნდა, რომ ევროკავშირიდან გასვლის სცენარს არ ელოდა ევროკავშირის ხელმძღვანელობა.

რა მოხდება, არავინ არ იცის. შეიქმნა გლობალური გაურკვევლობა.

ამან უკვე გამოიწვია ცვლილებები სავალუტო ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე, ნავთობის ფასებზე და ა.შ.

ეს ისეთი მასშტაბის მოვლენაა, რომ მას ექნება გლობალური ხასიათი და აისახება ყველა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ცხოვრებაში.

როგორი გავლენა ექნება ამ ფაქტს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის, დრო აჩვენებს.

თუმცა შეცდომა იქნება გულზე ხელების დაწყობა და ბედს მინდობა.

რა არის უმთავრესი საფრთხე საქართველოსთვის?

საქართველოს მეგობრებს მოკლე და საშუალო პერიოდში არ ეცლებათ საქართველოს პრობლემებისთვის.

მოსალოდნელია, რომ ევროკავშირი „ჩაეფლოს“ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტაში და შეამციროს, ან სულაც შეკვეცოს ბევრი აქტივობა თავის ფარგლებს გარეთ. უკვე გაისმის ხმები ევროკავშირში ახალი წევრების მიღების შეჩერების, სისტემური რეფორმირების განხორციელების მხირვ.

ყველაფერ ამას დიდი დრო დაჭირდება. მარტო დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურები სულ მცირე, ორი წელი გაგრძელდება, რადგან გასვლის პრეცედენტი მეტი არ ყოფილა და პროცედურები შემუშავებული არაა. არის იმის ვარაუდიც, რომ ყველაფერ ამას შეიძლება 6-7 წელიც კი დასჭირდეს.

საქართველო, საქართველოს ეკონომიკა შეიძლება დარჩეს თავის თავთან.

საქართველოს ყველაზე რთული გამოწვევები ელის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებულ სფეროებში. დიდი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდება საბანკო და ფულად-სავალუტო სისტემა.

ლარის კურსი 25 ივნისისათვის დაცემას განაგრძობს და 1 აშშ დოლარი – 2.2941 ლარს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში ხელისუფლების პოლიტიკით მთლიანად შთანთქმულია საბანკო სექტორის მიერ (2015 წლიდან) და ქვეყნის ეკონომიკა მოკლებულია ამ მექანიზმსა და საშუალებას, გაიგოს, თუ რა ხდება ეკონომიკაში. ირიბად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე საქართველოს ბანკისა და TBC ბანკის აქციების ფასებით თუ ვიმსჯელებთ (საქართველოს ბანკის აქციების ფასი დაეცა 6,5%-ით, ხოლო TBC ბანკის აქციებისა 4,81%-ით), ცხადია დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგების უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

სრული და გლობალური გაურკვევლობის პირობებში საქართველოს ხელისუფლება უნდა გადავიდეს „ხელით მართვაზე“, როდესაც შემუშავებული იქნება პროცესების განვითარების მრავალსცენარიანი ვარიანტები შესაბამისი მოქმედების მექანიზმებით.აუცილებელია განხორციელდეს კომპლექსური და სისტემური სოციალური და ეკონომიკური რეფორმები. უარი უნდა ითქვას კონტექსტიდან ამოგლეჯილ ქმედებებზე, რომლებიც ეფუძნებიან სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისადმი პრიმიტიულ, არამეცნიერულ მიდგომებსა და არაფორმალურ გადაწყვეტილებებს მსგავსად ე.წ. კვირიკაშვილის ოთხპუნქტიანი რეფორმისა.

ხელისუფლებაში ამის ინტელექტუალური პოტენციალის არსებობა ,მისი მოქმედებებიდან გამომდინარე, არ დასტურდება. მინიმუმ რაც შეუძლია მას გააკეთოს – ესაა გამოამჟღავნოს სურვილი და პოლიტიკური ნება ამისათვის და მოახდინოს საქართველოში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის კონსოლიდაცია, გადაუდებლად დაიწყოს ამ მიმართულებით მოქმედება არსებული ინსტიტუციური სტრუქტურის ფარგლებში, ან შექმნას ამისთვის ერთიანი ეროვნული ფორუმი.

ყველაფერ ამას მაშინ ექნება შედეგი, თუ უარი ითქმება საქართველოში არსებულ არაფორმალური მმართველობის მოდელზე და მოხდება მისი ინსტიტუციონილიზაცია.

„ჩვეულებრივი ქართველები“ ითხოვენ ამ მოქმედებას ხელისუფლებისაგან!

მიხეილ ჯიბუტი

ახალი ტერმინალი თბილისის აეროპორტში



2017 წლის ბოლოს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოსულ მგზავრებს ახალი მოფრენის ტერმინალი მოემსახურება — ახალი ტერმინალის მშენებლობისთვის საფუძვლის ჩაყრის საზეიმო ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო.

გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, მოფრენის ტერმინალის მშენებლობა დაგეგმილზე ადრე იწყება, რაც ტურიზმის მაჩვენებლების ზრდით არის განპირობებული.

„ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენ გვაქვს 25%-ზე მეტი ზრდა დაფიქსირებული, რაც შენარჩუნდება და დიდი ალბათობით შეიძლება იყოს კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები. ამიტომ, „ტავ ჯორჯია“ იწყებს მოფრენის ახალი ტერმინალის მშენებლობას. მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ საქართველოს მთავრობა ყოველთვის მზად არის, ხელი შეუწყოს უცხოელი ინვესტორების საქმიანობას, შექმნას შესაბამისი გარემო ბიზნესის განვითარებისთვის და ამავე დროს მაქსიმალურად დაიცვას საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში ჩამომსვლელი ტურისტების ინტერესები,“ — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, „ტავ ჯორჯია“ არის „ტავ ჰოლდინგის“ შვილობილი კომპანია, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი აეროპორტების ოპერატორი კომპანიაა და თავის ფრანგ პარტნიორთან ADP-სთან ერთად 40-მდე აეროპორტს მართავს.

„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, ბოლო წლების განმავლობაში ავიაბაზარზე შემოვიდნენ ახალი ავიაკომპანიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. „ტავ ჰოლდინგმა“ უკვე განახორციელა 100 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში. სააეროდრომო ინფრასტრუქტურის განვითარებაში და ტერმინალის გაფართოება-მშენებლობაში განხორციელდება ჯამში 60 მილიონ დოლარამდე დამატებითი ინვესტიცია,“ — აღნიშნა პრემიერმა.

ახალი მოფრენის ტერმინალის ფართობი 12000 კვადრატული მეტრი იქნება. მშენებლობაზე დასაქმდება 500-მდე ადამიანი. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარების პროექტი არსებული ასაფრენი ზოლის, სამიმოსვლო ბილიკების რეაბილიტაციას, ახალი მოფრენის ტერმინალის 5 ახალ სადგომს და მგზავრთა ხიდით უზრუნველყოფას მოიცავს. ახალი ტერმინალის მშენებლობა 2017 წლის ბოლოს დასრულდება, რის შემდეგაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტი წელიწადში 3 500 000 მგზავრს მოემსახურება.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონში ცვლილებები დამტკიცებულია

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა 2016 წლის 12 ივნისს, მეხანძრე-მაშველის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე, შსს-ს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა გააჟღერა, რომელიც შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მეხანძრეებისა და მაშველებისთვის წელთა ნამსახურობისა და წოდებების მიხედვით დანამატების დაწესებას, მათი სოციალური დაცვისა და საპენსიო გარანტიების პოლიციელებთან გათანაბრებას ითვალისწინებს.

ახალი კანონის ერთ-ერთი მთავარი სიახლეა ფუნქციის მიხედვით მეხანძრე-მაშველთა, მაშველთა და სამოქალაქო შემადგენლობებად დაყოფა, რაც სახელმწიფო რესურსების სწორად გამოყენებას ხელს შეუწყობს.

კანონპროექტი მეხანძრე-მაშველებისთვის და მაშველებისთვის დამატებით ახალ გარანტიებს ითვალისწინებს, რაც მათ სოციალური და სამართლებრივი დაცვის კუთხით პოლიციელებთან ათანაბრებს, კერძოდ, მეხანძრე-მაშველებსა და მაშველებს:

2016 წლის 1 სექტემბრიდან „სამოქალაქო უსაფრთხოების“ შესაბამისი სპეციალური წოდება მიენიჭებათ; ყოველთვიურად ფულად სარგოზე დაუწესდებათ დანამატი ნამსახური წლებისთვის და ასევე, წოდებრივი სარგო; განესაზღვრებათ ერთჯერადი ფულადი ან/და მატერიალური დახმარება, აგრეთვე, სხვა სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიები; სააგენტოს მოსამსახურეებს მიეცემათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა, ხოლო მათი ოჯახის წევრებს ექნებათ დაზღვევის შესაძლებლობა; მოხდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მეხანძრე-მაშველის და მაშველის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, დაზიანების ხარისხის შესაბამისად, გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება; ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო, 2017 წლის 1 იანვრიდან დაინიშნება სახელმწიფო კომპენსაცია.

აგრეთვე, მნიშვნელოვანი სიახლეა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ან მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაცვლილი მეხანძრე-მაშველის და მაშველის ოჯახის წევრებისთვის ყოველთვიური 1000-ლარიანი კომპენსაციის დაწესება.

მეხანძრე-მაშველისა და მაშველის მიერ ხანძრის ჩაქრობის, სამაშველო და საავარიო-სამაშველო ღონისძიებების განხორციელების დროს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას მეხანძრე-მაშველის და მაშველის დაღუპვის ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის წევრებს ერთჯერადად 100 000 ლარის ოდენობის კომპენსაცია და დაკრძალვის ხარჯი — 500 ლარი გადაცემათ.

ანაკლიაში სამეგრელოს რეგიონის ბიზნეს-პრობლემების გადაწყვეტაზე იმსჯელეს

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, სასტუმრო „ანაკლიაში“ ადგილობრივ ბიზნეს-სექტორს სურსათის ეროვნული სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლები შეხვდნენ.

ღონისძიება მას შემდეგ დაიგეგმა, რაც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი რეგიონული შეხვედრების პროექტის ფარგლებში ზუგდიდში ჩავიდა და ადგილობრივი მეწარმეების პრობლემები მოისმინა. შეხვედრის შემდეგ რამდენიმე პრობლემატური საკითხი გამოიკვეთა, რომლებიც ძირითადად თაფლის, თხილის, ავეჯისა და ეთერზეთების წარმოებას შეეხებოდა. პალატამ გადაწყვიტა ბიზნეს-სექტორისთვის კონკრეტული პროექტები შეეთავაზებინა.

შეხვედრას ანაკლიაში ადგილობრივი ბიზნეს-სექტორის 80-მდე წარმომადგენელი დაესწრო. მონაწილეებმა ჯერ GIZ-ისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს პრეზენტაციები მოისმინეს, შემდეგ კი ღონისძიება დისკუსიის რეჟიმში გადავიდა. მეწარმეებმა ამჯერად უკვე კონკრეტული დახმარების მიღების მიზნით პრეზენტატორებს კონკრეტული პრობლემები გააცნეს და მხარეებმა მათი გადაჭრის გზები განიხილეს. რეგიონული შეხვედრების ფარგლებში საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი უკვე იმყოფებოდა ქუთაისსა და ზუგდიდში. მასთან სასაუბროდ არა მხოლოდ პალატის წევრი კომპანიები, არამედ სხვა მეწარმეებიც იკრიბებიან. პრეზენტაციების შემდეგ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი დისკუსიის რეჟიმში გადადის, სადაც მეწარმეები თავიანთ პრობლემებზე ღიად საუბრობენ. ასეთი შეხვედრების შემდეგ პალატა პრობლემების კონკრეტულ ადრესატამდე მიტანისა და მათი აღმოფხვრის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებს გეგმავს.

გადაიღეთ საქართველოში ამერიკავ, ინდოეთო და გერმანიავ!

საქართველოს ერთი კვირის განმავლობაში კინოგადაღებების თვალსაზრისით კუთხით ქვეყნის პოტენციალის შესასწავლად ჰოლივუდის ცნობილი ლოკაციის მენეჯერები და პროდიუსერები სტუმრობდნენ.

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, წამყვანმა პროდიუსერებმა საქართველოში ვიზიტი ბათუმის მონახულებით დაასრულეს. ლოკაციის მენეჯერების საქართველოთი დიდი დაინტერესება მოჰყვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და ქართველი საპროდიუსერო კომპანიების წარმომადგენლების მონაწილეობას აშშ-ში, ლოს-ანჯელესში გამართულ მსოფლიო დონის ლოკაციების შოუზე, სადაც მოხდა ქვეყნის წარმოჩენა და ახალი კინოწარმოების წახალისების პროგრამის პრეზენტაცია. ცნობილი ჰოლივუდელი კინომწარმოებლების წარმომადგენლები, კინოინდუსტრიის ხელშეწყობის პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში 20-დან 26 ივნისის ჩათვლით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს ათვალიერებდნენ და ერთი კვირის განმავლობაში თბილისი, რუსთავი, კახეთი, მცხეთა, ყაზბეგი, უფლისციხე, წყალტუბო, ზუგდიდი და მესტია, ასევე ანაკლიაც მოინახულეს. სწორედ აღნიშნული პირების რეკომენდაციაზეა დამოკიდებული ქვეყანაში ახალი ფილმების შემოსვლა, მათი შთაბეჭდილება კი საკმაოდ პოზიტიურია და საქართველოთი დაინტერესებაც დიდია.

ჰოლივუდის დელეგაციას პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ განმახორციელებელი უწყება — სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტო საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან ერთად მასპინძლობდა და ქვეყნის შესაძლებლობებს, ასევე სხვადასხვა მომხიბვლელ და მათი ინტერესის სფეროს გათვალისწინებით შესაბამის ლოკაციებს აცნობდა.

ამასთანავე, ვიზიტის ფარგლებში ქართველ კინომწარმოებლებსა და სხვადასხვა ქართული საპროდიუსერო კომპანიების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ უცხოელ კოლეგებს შეხვედროდნენ და მათი გამოცდილება გაეზიარებინათ, ასევე მათთვის გაეცნოთ ქართული კინოს შესაძლებლობები და არსებული ინფრასტრუქტურა, რაც საქართველოს აღმოსავლეთ ევროპის გადასაღებ ცენტრად ქცევის ყველანაირ შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია, რომ პროგრამისადმი „გადაიღე საქართველოში“ ინტერესი საკმაოდ მაღალია და მეწარმეობის განვითარების სააგენტოში, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, უკვე შემოსულია 3 განაცხადი, რომლის შედეგადაც საქართველოში ჯამურად 5 700 000 ლარამდე თანხა დაიხარჯება. პროგრამის ფარგლებში უკვე მიმდინარეობს ინდური ფილმისა და ქართულ-გერმანული პროექტების გადაღებები, ხოლო დაგეგმილია ამერიკული პროექტის განხორციელება. ამასთანავე, სხვადასხვა საერთაშორისო პროდიუსერთან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები დამატებით რამდენიმე ფილმის გადაღებებზეც.

დარიალის ხეობაში სტიქიის ჭრილობებს იშუშებენ

მეოთხე დღეა, დარიალის ხეობაში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ადგილზე მობილიზებული 40-მდე ერთეული მძიმე ტექნიკა მდინარე თერგის ბუნებრივ კალაპოტში დასაბრუნებლად მუშაობს, რის შემდეგაც, გზის აღდგენითი სამუშაოები დაიწყება.

„ვფიქრობთ, რომ 2-3 დღეში მოხერხდება მდინარე თერგის ბუნებრივ კალაპოტში დაბრუნება და დაიწყება აქტიური სამუშაოები გზის აღსადგენად“, — აღნიშნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა.

23 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად დევდორაკის ხეობიდან მოვარდნილმა ღვარცოფმა მდინარე თერგს კალაპოტი შეუცვალა, მოვარდნილმა წყალმა საავტომობილო გზის თითქმის ერთკილომეტრიანი მონაკვეთი გაანადგურა. **დარიალის ხეობაში სტიქიის განმეორების საფრთხის გამო, ორი დღის მანძილზე მძიმე ტექნიკის შეყვანა და სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების დაწყება ვერ ხერხდებოდა.**

სად მერაბიშვილ-სააკაშვილის ბანდები და სად წესრიგი და ქვეყნის აღმშენებლობა?!

თაბუკაშვილის №27, ადგილი, სადაც 2010 წელს ვანო მერაბიშვილმა „გამჭვირვალე“ პოლიციის შენობა გახსნა. ერთი შეხედვით, აქ უცნაური არაფერია, მაგრამ უცნაურია თავად ისტორია, რომელიც „გამჭვირვალე“ პოლიციის შენობის მშენებლობას უკავშირდება. თაბუკაშვილის №27-ში, სადაც წლების მანძილზე მთაწმინდის პოლიცია არსებობდა, მდებარეობდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც ბიზნესმენ კოტე ჩიქოვანის საკუთრება იყო. თუმცა, ვანო მერაბიშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, ჩიქოვანს ქონება ჩამოერთვა, შენობა დაანგრიეს და მის ადგილას პოლიციის ახალი შენობა ააშენეს!

რა მოტივით წაართვა საკუთრება ვანო მერაბიშვილმა და შეძლო თუ არა საკუთრების დაბრუნება? ამ საკითხებთან დაკავშირებით ბიზნესმენი და ექსპერტი კოტე ჩიქოვანი გვეესაუბრა.

— საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2010 წლიდან იწყება თქვენი შევიწროვება და უშუალოდ მაშინდელი შს მინისტრი იყო დაინტერესებული თქვენი ქონებით. დაინტერესდა ვანო მერაბიშვილი თქვენი ბიზნესით?

— რეჟიმის პირობებში, არც მანამდე მქონდა ია-ვარდით მოფენილი ცხოვრება, მაგრამ 2010 წლის ზაფხულში ბატონი მერაბიშვილის მეოხებით, მეც და ჩემი ოჯახიც აღმოვჩნდით საშინელი წნეხის ქვეშ, რომლის შედეგებიც მთელი ცხოვრება გაგვყვება. ალბათ, კარგად იყო ინფორმირებული, რომ არ ვიყავი რეჟიმის მეხოტბე, არ ვიზიარებდი იმ ძალადობრივ პოლიტიკას, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა აწარმოებდა. ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას.

— საიდან ჰქონდა მერაბიშვილს ეს ინფორმაცია?

— სხვადასხვა მხრიდან მიუვიდა ხმა, რომ კრიტიკულად ვიყავი განწყობილი. შორეული ნაცნობობაც მაკავშირებდა მასთან, მიწის კადასტრით იყო დაკავებული შინაგან საქმეთა მინისტრობამდე, გვყავდა საერთო ნაცნობებიც. გარდა ამისა, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვმეზობლობდით, მთაწმინდის პოლიციის სამმართველოსთან, საერთო ეზო გვქონდა თაბუკაშვილის №27-ში. იქაურობას ხშირად სტუმრობდა „ბატონი“ ვანო, გარკვეული ინფორმაციები იქედანაც ექნებოდა.

მისთვის და მაშინდელი ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო პოლიციის რამე სახით სიახლოვე ოპოზიციურად განწყობილ პირებთან. ასეთ შემთხვევაში უნდა ყოფილიყავი დასჯილი, ეს იყო ნაციონალური მოძრაობის დაუწერელი კანონი, კრედო. ჩვენ ორგანიზაციას ერქვა „საქაგროპროექტი“, რომელიც საკუთრებასთან ერთად სრულიად უმიზეზოდ გაანადგურა მერაბიშვილმა.

— თქვენთან შეუთანხმებლად მოხდა ამ შენობის დანგრევა?

— რა შეთანხმებაზეა საუბარი?! — საკითხი ამ სახით არც დასმულა. საზოგადოებაც და შინაგან საქმეთა სამინისტროც მიჩვეული იყო იმას, რომ თუ მერაბიშვილს ან შსს-ს დასჭირდებოდა რამე შენობა ან ქონება, პრობლემის გარეშე შეეძლო მითვისებაც, განადგურებაც, გაყიდვაც და ასე შემდეგ, რაც უპრეცედენტო ფაქტია ნებისმიერი, ოდნავ მაინც სამართლებრივი ქვეყნისთვის. სახელმწიფო უწყება, ვგულისხმობ პოლიციას, რომლის პირდაპირი მოვალეობაა საკუთრების დაცვა, თვითონ ყოველგვარი „რევერანსების“ გარეშე, გირღვევს საკუთრების უფლებას. რომელ სტრასბურგებზე და ადამიანის უფლებების კონვენციებზეა საუბარი?!

კომუნისტური მმართველობის, რეპრესიების წლებს თუ შევადარებთ იმ დესპოტიზმს და თავხედობას, რაც 9 წლის განმავლობაში საქართველოში ტრიალებდა. ბევრი თბილისელისთვის ნაცნობია ის ტერიტორია, სადაც მოხდა ეს თავხედური ვანდალიზმი. ოპერის უკან, თაბუკაშვილის 27 ნომერში საკმაოდ დიდი ეზოა, დაახლოებით 1 ჰექტარი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი შენობებით მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს ეკავა, აქვე იყო ჩვენი შენობაც, უძვირფასესი და მოცულობითი აგურის შენობა. მე-19 საუკუნის ბოლოს აგებული არქიტექტურის ძეგლი, შედგებოდა ორი ფლიგელისაგან და სიგრძით 110 მეტრს აღწევდა, სადაც დღეს შუშის პოლიციის შენობაა. „ბატონმა“ მერაბიშვილმა, მთაწმინდის პოლიციაში ერთ-ერთი ვიზიტისას, გადაწყვიტა ახალი პოლიციის აშენება. მიუხედავად იმისა, რომ შსს-ს საკმაოდ დიდი ფართი ეკავა ეზოში და შეეძლო ნებისმიერი კონფიგურაციის პროექტის შედგენა, ამისათვის მაინცდამაინც ჩემი შენობის ადგილი შეარჩია. ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ერთ დღეს დამიბარეს შსს-ში და განმიცხადეს, რომ ჩემი საკუთრება თაბუკაშვილის 27-ში შსს-ს ინტერესში შედიოდა და აპირებდნენ მის დანგრევას.

— ვინ დაგიბარათ?

— სამინისტროს მაშინდელი საკადრო და ორგანიზაციული დეპარტამენტის უფროსმა ოთარ გოგოძემ. მან პირდაპირ განმიცხადა, თქვენი შენობა გვჭირდება, უნდა დავანგრიოთ, მის ადგილზე ახალ, ლამაზ პოლიციის აშენებას ვაპირებთო. ჩემთვის ეს იყო შოკი, რადგან 3 წელიწადი ვაწარმოებდით სარეკონსტრუქციო და სარესტავრაციო სამუშაოებს. სიტუაციის ანალიზის შედეგად გამიჩნდა გარკვეული ეჭვები, ფარული ზრახვები ხომ არ იმალებოდა შსს გეგმების უკან.

— როდესაც შენობის დათმობა შემოგთავაზათ ოთარ გოგოძემ, რა უპასუხეთ მას, დათანხმდით?

— როგორც მოგახსენეთ საკითხი ასე არც დასმულა. მე ვინ მკითხა საერთოდ რამე, გაფრთხილების სახით ჩამაყენეს საქმის კურსში, რომ მოკლე პერიოდში მომიწევდა შენობის დაცლა. გოგოძესთან შეხვედრაზეც და ასევე სხვა მაღალჩინოსნებთან შეხვედრებზეც, ჩემს კითხვაზე - საკითხი ასეთი სახით გადაწყვეტილი გაქვთ თუ ფიქრობთ? პასუხს ვიღებდი ცალსახას და მკაცრს, საკითხი განხილვას აღარ ექვემდებარებოდა. მოვლენები შემდგომ ასეც განვითარდა.

გარკვეული მინიშნებებით და პირადი კავშირებით გაირკვა, გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მერაბიშვილს ჰქონდა მიღებული. უნდა მოგახსენოთ, რომ შსს-ს ზოგიერთი თანამშრომელი სულაც არ იყო აღფრთოვანებული „ბატონი“ ვანოს ამ თავხედური ახირებით, მით უმეტეს, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სამინისტროში სხვა პროექტიც ჰქონიათ მომზადებული, რომელიც არც ძეგლს ეხებოდა, არც საკუთრებას და როგორც პროექტი უკეთესიც იყო, მაგრამ „ლეგენდარულ“ მინისტრს ვინ შებედავდა „იდეის“ დაწუნებას?!

— დაახლოებით რამდენ კვადრატულ მეტრზეა საუბარი?

— მშენებლობამ ეზოიანდ დაახლოებით 4 000 კვ.მ მოიცვა. ეს არის აგვისტოს პერიოდი, დროის ის მონაკვეთი, როდესაც მასიურად ხდებოდა იმ ადამიანების დაკავება, რომლებსაც შეხება ჰქონდათ ბიზნესთან. ჩემს ირგვლივ დაახლოებით ათი ადამიანი დაიჭირეს და ყველას ბიზნესთან ჰქონდათ შეხება.

— დაკავების ან იგივე ფიზიკური განადგურების საფრთხე იყო?

— საფრთხე იყო ყველანაირი. კაცმა არ იცის, რას მოიფიქრებდნენ მერაბიშვილის უწყების ჭიუხებში. აბსოლუტურად უმტკივნეულო სიტუაციაში, სრულიად უმიზეზოდ, უცბად აღმოვჩნდი კონფრონტაციაში უზარმაზარ ძალოვან სამინისტროსთან. 2012 წლის არჩევნებამდე მთელი ჩემი ოჯახი მოსმენისა და თვალთვალის 24-საათიან რეჟიმში იმყოფებოდა. ჩვენთან მომსვლელიც და წამსვლელიც ყველა გარკვეულწილად კონტროლდებოდა. მთლიანად ვიყავი მოწყვეტილი ყველა საქმიანობას. ჩემი ოჯახი დღესაც ბოლომდე არ გამოსულა მაშინდელი წნეხიდან, ისეთი სტრესი აქვთ მიღებული, რომელიც მთელი ცხოვრება შეიძლება გაყვეს.

კვირიკაშვილიც და ღარიბაშვილიც წესიერი ადამიანები არიან. მერაბიშვილთან მათი შედარება წარმოუდგენელია. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ბოკერიას, უგულავას და მათნაირების საქმიანობის შეფასებაში თუ ჩავრთავთ ისტორიკოსებს, ფსიქოლოგებს და მწერლებს, გავაკეთებთ ღრმა ანალიზს, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ისინი იყვნენ ქვეყნის მტრები, რადგან ქართულ სახელმწიფოსთვის არ მუშაობდნენ.

გარეთ, რომ გავდიოდი, არ ვიცოდი, დავბრუნდებოდი თუ არა. შექმნილი იყო გარემოება, რომ მთელმა სამინისტრომ და საზოგადოების დიდმა ნაწილმა ყოველგვარი ეჭვების გარეშე იცოდა, რომ უშუალოდ ვანო მერაბიშვილთან მოვექეცი დაპირისპირებაში და რამე რომ მომსვლოდა პირდაპირ მის დაკვეთად აღიქმებოდა, ყოველგვარი მესამე პირების გარეშე. იმდენად ცხადი იყო ყველაფერი, რომ ჩემმა ადვოკატმა მანანა კობახიძემ საქმის კურსში ჩააყენა თომას ჰამერბერგი, რომელმაც მოგვწერა, რომ კონტროლზე ვყავდი აყვანილი.

— მაგრამ მოხდა დემონტაჟი...

— როგორც ადრე შემოდიოდა მტერი, ზუსტად ასე მოხდა. ერთ დღეს ალყა შემოარტყეს შენობას, ჩაჭრეს კომუნიკაციები, შემოავლეს სამშენებლო ღობე, დაიწყეს შენობების დემონტაჟი. ეს ყველაფერი ორ დღეში მოხდა. გვქონდა დიდი საინჟინრო და გეოდეზიური არქივი, რომელიც მთელ საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა, იყო მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ბიბლიოთეკაზე და საოჯახო ნივთებზე აღარ ვლაპარაკობ.

— ნებართვის არარსებობის მიუხედავად, პოლიციის შენობა გაიხსნა?

— დიახ და დღესაც უნებართვოდ დგას, რადგან იურიდიულად დღესაც არსებობს ის შენობა, რომელიც მერაბიშვილის ბრძანებით დაანგრიეს. რაც შეეხება ახალი პოლიციის შენობას, იურიდიულად ეს შენობა არ არსებობს. ახალმა ხელისუფლებამ შექმნილ სიტუაციაში მოახერხა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში აეყვანა ეს ტერიტორია და იურიდიულად არსებული შენობები. დღევანდელი მთაწმინდის პოლიციის სამმართველო სხვის (კერძოდ ჩემს) საკუთრებაზე აღარ ფუნქციონირებს.

— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თქვენ მიმართეთ შესაბამის სტრუქტურებს, რა ხდება დღეს თქვენი საქმის გარშემო?

— საქმის კურსში ჩავაყენეთ ყოფილი შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ვაცნობე, რომ ცენტრალური რაიონის პოლიციის სამმართველო უნებართვოდ იდგა ჩემს ტერიოტორიაზე. ღარიბაშვილმა კონტროლზე აიყვანა ეს საქმე. საქმეში უშუალოდ ჩაერთვნენ ეკონომიკის მაშინდელი მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და მისი მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი, ღარიბაშვილის მოადგილე დავით ხუციშვილი. სახელმწიფოს უნდა აენაზღაურებინა ზარალი, რამდენიმე მილიონზე იყო საუბარი, მაგრამ ძიების საბოლოო შედეგი სჭირდებოდათ, რაც შეიძლება დროში გაწელილიყო. ამიტომ, ჩვენც წავედით გარკვეულ დათმობებზე, ეკონომიკის სამინისტრომაც მოინდომა და სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდა ჩემთვის უძრავი ქონების გადმოცემა.

— ანუ, ქონებრივი ანაზღაურება მოხდა?

— დიახ. რამდენიმე მილიონი ლარის სანაცვლოდ გადმოგვეცა უძრავი ქონება, რომელიც სხვათა შორის მერაბიშვილის დროსაც სახელმწიფო საკუთრებაში იყო იმავე ეზოში და იმავე მისამართზე. წარმოიდგინეთ, იქვე ჰქონდათ ფართობი, სადაც შეეძლოთ, აეშენებინათ პოლიციის შენობა და არ წაერთმიათ ჩემთვის ქონება, მაგრამ გამომწვევად, არაადამიანურად მოიქცა, წამართვა და გაანადგურა საკუთრება, დასაბრუნებელიც არ დატოვა.

— თუკი იყო ტერიტორია, სადაც შეიძლებოდა კანონის საფუძველზე აშენებულიყო პოლიციის შენობა, მაშინ რითი ხსნით იმას, რომ თქვენს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოინდომა მშენებლობა?

— იმიტომ, რომ წინააღმდეგობას წააწყდა ჩემი მხრიდან. მონა რომ ვყოფილიყავი, საერთოდ არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა. ეს ლოგიკა დავინახე, რადგან წინააღმდეგობა გავუწიე, თუნდაც დელიკატური, ადგა და დამსაჯა.

— თქვენთან მიმართებაში სახელმწიფო სწორად მოიქცა. თქვენ ხართ მერაბიშვილის უშუალო მსხვერპლი და დღეს როდესაც ისმენთ იგივე „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, რომ მერაბიშვილი არის პოლიტპატიმარი, რომ ის კვირიკაშვილის პირადი პატიმარია, რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

— კვირიკაშვილიც და ღარიბაშვილიც წესიერი ადამიანები არიან. მერაბიშვილთან მათი შედარება წარმოუდგენელია. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ბოკერიას, უგულავას და მათნაირების საქმიანობის შეფასებაში თუ ჩავრთავთ ისტორიკოსებს, ფსიქოლოგებს და მწერლებს, გავაკეთებთ ღრმა ანალიზს, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ისინი იყვნენ ქვეყნის მტრები, რადგან ქართულ სახელმწიფოსთვის არ მუშაობდნენ.

კრიმინალობაში აჯობეს იმ კრიმინალებს, რომლებიც ვითომ დაამარცხეს. რომელი კრიმინალი დაამარცხეს? თავად ჩაენაცვლნენ ყველა სფეროში და ახალი დანაშულებრივი სინდიკატი ჩამოაყალიბეს. სად მერაბიშვილ-სააკაშვილი თავისი ბანდებით და სად წესრიგი და ქვეყნის აღმშენებლობა?!, ეს ცნებები ანტონიმებად უნდა განვიხილოთ.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

მოგზაურობა დროსა ნათელა ნიკოლაძესა და

ნინო სტიუარტი დილიდან გასულიყო ძველ თბილისში სასეირნოდ და რომ შეაგვიანდა, ნათელა ნიკოლაძემ რამდენჯერმე შეწყვიტა ჩემთან საუბარი, ნეტა სად არის ამდენ ხანსო! ნინო პირველად იყო თბილისში და მისი უფროსი დეიდაშვილი, ცოტა არ იყოს, ნერვიულობდა, თუმცა თავს თვითონვე იმშვიდებდა, — მართალია, ქართული არ იცის, მაგრამ ოპერას როგორ ვერ მოაგნებსო!

ოპერასთან ძალიან ახლოს ვიყავით, ზუბალაშვილების ქუჩაზე, ნათელა ნიკოლაძის ახლობლების ბინაში.

ნინო ძალიან მალე მოვიდა. მაღალი, დახვეწილი ქალია, არისტოკრატიული მანერებით და ხმადაბალი ლაპარაკით. ფეხით ვაპირებდი, მაგრამ რომ ამაჩქარეთ, ტაქსით წამოვედიო. მერე სხვათა შორის იკითხა, მინის ხიდიდან აქამდე ტაქსი რა უნდა ღირდესო. 20 ლარი მიუცია რიყიდან ოპერამდე. სირცხვილი შენ, ვიღაცა ხარ, თბილისელო ტაქსისტო! 20 კი არა, 5 ლარი რომ მოეცა, ისიც არამი იქნებოდა შენთვის!

ნინოს მე მოვუხადე ბოდიში იმ უჯიშო ტაქსისტის სიხარბისა და უსინდისობის გამო.

ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჟორჟეტა ღამბაშიძის შვილთან ჩემი პირველი შეხვედრა თბილისელი ტაქსისტის უღირს საქციელზე საუბრით დაიწყებოდა!

ჟორჟეტა ღამბაშიძე ნიკო ნიკოლაძის დიდი ოჯახის ყველაზე იდუმალი და ეფემერული წევრი იყო. ვახტანგ ღამბაშიძის ქალიშვილმა 1927 წელს პარიზში იქორწინა გიორგი ნოკოლაძეზე, მერე თბილისში იცხოვრა სამიოდე წელიწადს და 1931 წელს, მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, კვლავ თავის პარიზში გაუჩინარდა უკვალოდ. თუმცა არც მთლად უკვალოდ: ამასობაში მისი უფროსი და — მედეა ცოლად მოეყვანა გიორგი ნიკოლაძის ბიძაშვილს, შოთა ნიკოლაძეს და ამდენად, ჟორჟეტაც, ასე იყო თუ ისე, კვლავ მოიაზრებოდა ნიკო ნიკოლაძის დიდი ოჯახის წრეში.

გიორგის და ჟორჟეტას ერთმანეთი ჯერ კიდევ პატარა ცემში გაუცვნიათ. ჟორჟეტა მაშინ ბავშვი იყო. შემორჩენილია ფოტო — სტუდენტ გიორგის მუხლებზე უზის ხუთი-ექვსი წლის ორი გოგონა — ერთი მათგანი ჟორჟეტაა. მათი რომანი კი თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ პარიზში დაწყებულა 1926 წელს და 1927 წლის მაისში ქორწილით დამთავრებულა პარიზის ბერძნულ ეკლესიაში.

საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულია გიორგი ნიკოლაძის წერილი ჟორჟეტა-სადმი გაგზავნილი 1927 წლის 9 თებერვალს, მათ ქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე:

„წუხელის მითხარი: „შენ ხარ ჩემი საქართველო!!“

ამაზე მშვენიერი აბა რა გითქვამს ან რაღას მეტყვი? რა გიპასუხო სამაგიერო? სამჯერ შემხვდი ცხოვრებაში. ერთხელ პატარა ცემში, მერე ტფილისში და ბოლოს აქ, დედამიწის დედაქალაქში — პარიზში. თანაც ამ ჩემ გულში იკავებდი შესაფერისს ადგილს: ჯერ პატარას, როგორიც არის პატარა ცემი, მერე — როგორც ტფილისი და ბოლოს ეხლა შენ გახდი ჩემი გულის პარიზი...

უთვალავად გკოცნი.

შენი გიორგი.“

ეს ის პერიოდია, როცა გიორგი და ჟორჟეტა თითქმის ყოველდღიურად ცვლიან წერილებს, როცა მათი ურთიერთობა მეგობრობიდან სიყვარულში გადადის და როცა ჟორჟეტა ხან ჯერ კიდევ თქვენობით მიმართავს გიორგის და ხან — უკვე შენობით.

რამდენიმე წლის წინათ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ გამოქვეყნდა ჟორჟეტა ღამბაშიძის მოგონებანი „მცირე მონათხრობი ჩემს ცხოვრებაზე“, რომელშიც ავტორი იხსენებს:

„1926 წლის ერთ დღეს ჩვენი ოჯახის მეგობარი, ბ-ნი გიორგი ნიკოლაძე საქართველოდან პარიზში ჩამოვიდა, სორბონაში, უმაღლეს მათემატიკაში ხარისხის დასაცავად... ხუთი წლის ასაკიდან ვიცნობდი, ჩემი ოცნების გმირი იყო. როდესაც პატარა ცემში ჩვენთან, სანატორიუმში ჩამოდიოდა, მე და ჩემი მეგობარი გვერდიდან არ ვცილდებოდით. მაშინ სტუდენტი იყო და ოქროსფერღილებიანი მოხდენილი ფორმა ეცვა. ერთხელ ვთხოვეთ, ორი ღილი მოგვეცითო, მოგვცა. გავაპრიალეთ, პატარა კოლოფში ჩავდეთ, ბამბაც ჩავატანეთ და სასოებით ვინახავდით... მოგვიანებით, 14 წლისა, თბილისის ფიზიკულტურული საზოგადოების წევრი გავხდი, სადაც ინსტრუქტორად მუშაობდა. მისით აღტაცება არ გამნელებია... პარიზში გიორგი ნიკოლაძის სტუმრობით ყველანი აღტაცებულნი დავრჩით. მე და ის ბევრს ვსაუბრობდით. მერე ლონდონში წავიდა მამის სანახავად. იქიდან ყოველდღე წერილებს მიგზავნიდა და მალე აშკარა გახდა, რომ ჩვენს შორის მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. მალე ცოლად გაყოლა მთხოვა“...

საქორწინო მოგზაურობაში გიორგი და ჟორჟეტა ველოსიპედებით წასულან. „ველოსიპედი“ ფრანგული სიტყვაა და ქართულად იმ პერიოდში „გორიას“ ეძახდნენ. თავის დროზე გიორგი ნიკოლაძის დამ, რუსუდან ნიკოლაძემ მაჩვენა ჟორჟეტას მიერ უამრავი ფოტოთი თუ ღია ბარათით ლამაზად გაფორმებული ალბომი მისივე ტექსტით, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ჩვენი მოგზაურობა გორიებით ნუარმუტიედან პარიზამდე“. მშვენიერი ქართულით დაწერილი თავისი შთაბეჭდილებები ჟორჟეტას თავად გადაუწერია ალბომში კიდევ უფრო მშვენიერი კალიგრაფიით.

საბჭოთა ვიზის მოლოდინში ახალდაქორწინებულები კიდევ მთელ წელიწადს დარჩენილან პარიზში. საბჭოთა საელჩო ემიგრანტის შვილს დიდხანს არ აძლევდა უფლებას, მეუღლესთან ერთად დაბრუნებულიყო სამშობლოში.

შემდეგ იყო ნიკოლაძეთა დიდ ოჯახში გატარებული სამი წელი, რომლებსაც ნიკოლაძეთა რძალი ასე იხსენებდა:

„ეს სამი წელი ისე იყო გაჯერებული უზომო ნეტარებითაც და თავზარდამცემი მწუხარებითაც, რომ შეუძლებელია ყველაფრის ქაღალდზე გაცოცხლება“.

გიორგის გარდაცვალების შემდეგ პარიზში მშობლებთან დაბრუნება ჟორჟეტასთვის კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე საქართველოში ჩამოსვლა. ბერია არ უშვებდა თურმე, მაგრამ გიორგი ნიკოლაძის ქვრივს მოსკოვში გაპარვა მოუხერხებია, აბელ ენუქიძე უნახავს და ის დახმარებია საბჭოთა კავშირიდან გასვლაში. ჟორჟეტა ღამბაშიძე თავის მოგონებებში დეტალურად აღწერს საფრანგეთში დაბრუნების ამბებს, რომელთა შემდეგ ძალიან მალე

ზემოდან: მედეა, თამარ და ჟორჟეტა ღამბაშიძეები

აბელ ენუქიძე შერისხეს, ჩამოაქვეითეს და ლენინის ორდენის პირველი კავალერი კავკასიის კურორტების სამმართველოს უფროსად დანიშნეს. სხვათა შორის, ემიგრაციაში წასვლამდე ეს თანამდებობა ჟორჟეტას მამას, ვახტანგ ღამბაშიძეს ეკავა.

ვახტანგ ღამბაშიძე ბავშვთა პირველი ქართველი ექიმი იყო. მამამისი, გაბრიელ ეპისკოპოსის მოწაფე დავით ღამბაშიძე, რომელიც „დიდი დეკანოზის“ სახელით იყო ცნობილი, მრავალი წლის განმავლობაში გამოსცემდა და რედაქტორობდა ჟურნალ „მწყემსს“. 1904 წელს მამა-შვილმა დააარსა ცნობილი სანატორიუმი პატარა ცემში, რომელმაც მალე გაითქვა სახელი და რომელიც ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჩამოართვეს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვახტანგ ღამბაშიძე ემიგრაციაში წავიდა და გიბრალტარის არქიეპისკოპოსის ფინანსური დახმარებით პარიზში საკუთარი კლინიკა გახსნა. გარდა ამისა, იგი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და სამჯერ ზედიზედ აირჩიეს თავმჯდომარედ პარიზის ქართული სათვისტომოში, რომელსაც მთელი 20 წელი ხელმძღვანელობდა. ვახტანგის უმცროსი ძმა, დავითი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო დიდ ბრიტანეთში.

ვახტანგ ღამბაშიძეს ოთხი შვილი ჰყავდა — მედეა, თამარი (სუნანა), გივი და ჟორჟეტა. სხვათა შორის, მედეა ღამბაშიძე, რომლის ნათლია დიდი დეზო ნიკოლაძეს მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შევხვდი. ბოლოს, უკვე ამ საუკუნეში, მან მისი და მისი მეუღლის, პროფესორ ფრანსუაზ ნიკოლაძის წიგნის პრეზენტაციაზე დამპატიჟა — „ქართველები საფრანგეთისთვის ბრძოლებში“. ნათელა ნიკოლაძეს კი მთელი 22 წელია, აღარ შევხვედრივარ. და აი, რამდენიმე დღის წინათ ქალბატონი ნათელა ტელეფონით შემეხმიანა, თბილისში ვარ და კარგი იქნება, თუ შევხვდებითო. ნინოც მახლავს, ჩემი დეიდაშვილიო.

ნათელა ნიკოლაძე (მარცხნივ) და ნინო სტიუარტი

ნინო სტიუარტი

ნინო სტიუარტი დილიდან გასულიყო ძველ თბილისში სასეირნოდ და რომ შეაგვიანდა, ნათელა ნიკოლაძემ რამდენჯერმე შეწყვიტა ჩემთან საუბარი, ნეტა სად არის ამდენ ხანსო! ნინო პირველად იყო თბილისში და მისი უფროსი დეიდაშვილი, ცოტა არ იყოს, ნერვიულობდა, თუმცა თავს თვითონვე იმშვიდებდა, — მართალია, ქართული არ იცის, მაგრამ ოპერას როგორ ვერ მოაგნებსო!

ოპერასთან ძალიან ახლოს ვიყავით, ზუბალაშვილების ქუჩაზე, ნათელა ნიკოლაძის ახლობლების ბინაში.

ნინო ძალიან მალე მოვიდა. მაღალი, დახვეწილი ქალია, არისტოკრატიული მანერებით და ხმადაბალი ლაპარაკით. ფეხით ვაპირებდი, მაგრამ რომ ამაჩქარეთ, ტაქსით წამოვედიო. მერე სხვათა შორის იკითხა, მინის ხიდიდან აქამდე ტაქსი რა უნდა ღირდესო. 20 ლარი მიუცია რიყიდან ოპერამდე. სირცხვილი შენ, ვიღაცა ხარ, თბილისელო ტაქსისტო! 20 კი არა, 5 ლარი რომ მოეცა, ისიც არამი იქნებოდა შენთვის!

ნინოს მე მოვუხადე ბოდიში იმ უჯიშო ტაქსისტის სიხარბისა და უსინდისობის გამო.

ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჟორჟეტა ღამბაშიძის შვილთან ჩემი პირველი შეხვედრა თბილისელი ტაქსისტის უღირს საქციელზე საუბრით დაიწყებოდა!

ჟორჟეტა ღამბაშიძე ნიკო ნიკოლაძის დიდი ოჯახის ყველაზე იდუმალი და ეფემერული წევრი იყო. ვახტანგ ღამბაშიძის ქალიშვილმა 1927 წელს პარიზში იქორწინა გიორგი ნოკოლაძეზე, მერე თბილისში იცხოვრა სამიოდე წელიწადს და 1931 წელს, მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, კვლავ თავის პარიზში გაუჩინარდა უკვალოდ. თუმცა არც მთლად უკვალოდ: ამასობაში მისი უფროსი და — მედეა ცოლად მოეყვანა გიორგი ნიკოლაძის ბიძაშვილს, შოთა ნიკოლაძეს და ამდენად, ჟორჟეტაც, ასე იყო თუ ისე, კვლავ მოიაზრებოდა ნიკო ნიკოლაძის დიდი ოჯახის წრეში.

გიორგის და ჟორჟეტას ერთმანეთი ჯერ კიდევ პატარა ცემში გაუცვნიათ. ჟორჟეტა მაშინ ბავშვი იყო. შემორჩენილია ფოტო — სტუდენტ გიორგის მუხლებზე უზის ხუთი-ექვსი წლის ორი გოგონა — ერთი მათგანი ჟორჟეტაა. მათი რომანი კი თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ პარიზში დაწყებულა 1926 წელს და 1927 წლის მაისში ქორწილით დამთავრებულა პარიზის ბერძნულ ეკლესიაში.

საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულია გიორგი ნიკოლაძის წერილი ჟორჟეტა-სადმი გაგზავნილი 1927 წლის 9 თებერვალს, მათ ქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე:

„წუხელის მითხარი: „შენ ხარ ჩემი საქართველო!!“

ამაზე მშვენიერი აბა რა გითქვამს ან რაღას მეტყვი? რა გიპასუხო სამაგიერო? სამჯერ შემხვდი ცხოვრებაში. ერთხელ პატარა ცემში, მერე ტფილისში და ბოლოს აქ, დედამიწის დედაქალაქში — პარიზში. თანაც ამ ჩემ გულში იკავებდი შესაფერისს ადგილს: ჯერ პატარას, როგორიც არის პატარა ცემი, მერე — როგორც ტფილისი და ბოლოს ეხლა შენ გახდი ჩემი გულის პარიზი...

უთვალავად გკოცნი.

შენი გიორგი.“

ეს ის პერიოდია, როცა გიორგი და ჟორჟეტა თითქმის ყოველდღიურად ცვლიან წერილებს, როცა მათი ურთიერთობა მეგობრობიდან სიყვარულში გადადის და როცა ჟორჟეტა ხან ჯერ კიდევ თქვენობით მიმართავს გიორგის და ხან — უკვე შენობით.

რამდენიმე წლის წინათ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ გამოქვეყნდა ჟორჟეტა ღამბაშიძის მოგონებანი „მცირე მონათხრობი ჩემს ცხოვრებაზე“, რომელშიც ავტორი იხსენებს:

„1926 წლის ერთ დღეს ჩვენი ოჯახის მეგობარი, ბ-ნი გიორგი ნიკოლაძე საქართველოდან პარიზში ჩამოვიდა, სორბონაში, უმაღლეს მათემატიკაში ხარისხის დასაცავად... ხუთი წლის ასაკიდან ვიცნობდი, ჩემი ოცნების გმირი იყო. როდესაც პატარა ცემში ჩვენთან, სანატორიუმში ჩამოდიოდა, მე და ჩემი მეგობარი გვერდიდან არ ვცილდებოდით.

კანოზის სულიერი შვილი აკაკი წერეთელი გახლდათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი იყო. შემონახულია მისი კუთვნილი № 1 სტუდბილეთი. სხვებთან ერთად მას დედამისიც — ვანდა ჰოპე-ღამბაშიძე ასწავლიდა, რომელიც პარიზში ფრანგული ენის პროფესორი იყო, ივანე ჯავახიშვილს კი ინგლისური ენის ლექტორად მიეწვია ახალდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში. იმავე პერიოდში უნივერსიტეტში მუშაობდა ვახტანგ ღამბაშიძეც — იგი ჰიგიენის კათედრას განაგებდა.

გივი ღამბაშიძე, რომელიც ემიგრაციიდან ორჯერ დაბრუნდა საქართველოში და საბჭოთა საპატიმროში ექვსი თვეც გაატარა, პარიზში ჩასული, სულ ამუნათებდა თანამემამულეებს, პურს როგორ სჭამთ, როცა იმდენი ჩვენიანი მეტეხის ციხეში იტანჯებაო. 1930 წელს მან, სრულიად ახალგაზრდამ, 28 წლისამ, თავი მოიკლა.

სუნანა ღამბაშიძე საფრანგეთის არმიის კოლონელის ნიკოლოზ (კუკური) თოხაძის მეუღლე იყო, მედეა და ჟორჟეტა კი ნიკოლაძეთა ოჯახის წევრები გახდნენ. ღამბაშიძის ქალთაგან პირველად ყველაზე უმცროსი, ჟორჟეტა გათხოვილა. ნიკო ნიკოლაძის ძმისშვილი შოთა ნიკოლაძე და კუკური თოხაძე იუნკრები იყვნენ. საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, ოფიცერი და კომანდორი, სამხედრო მფრინავი ნიკოლოზ თოხაძე საფრანგეთის თითქმის ყველა უმაღლესი სამხედრო ჯილდოს მფლობელი იყო. შოთა ნიკოლაძემ 1928 წელს პარიზში გიორგისეული სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ აღადგინა და მის საქმიანობაში ემიგრაციაში მყოფი არაერთი ქართველი ჩააბა.

შოთა ნიკოლაძეს და მედეა ღამბაშიძეს ორი შვილი შეეძინათ — რევაზი და ნათელა. ორივენი მამამისის მიერ დაარსებული „შევარდენის“ წევრები იყვნენ. მე ისინი წინა საუკუნეში, 1994 წელს, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დღეებში გავიცანი. მაშინ რეზო ნიკოლაძემ ბაბუამისის მიერ გადაღებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის უკანასკნელი ფოტოების ნეგატივები გადმომცა და მე ის ფოტოები გამოვაქვეყნე კიდეც გაზეთ „სამშობლოში“. რეზო ნიკოლაძეს მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შევხვდი. ბოლოს, უკვე ამ საუკუნეში, მან მისი და მისი მეუღლის, პროფესორ ფრანსუაზ ნიკოლაძის წიგნის პრეზენტაციაზე დამპატიჟა — „ქართველები საფრანგეთისთვის ბრძოლებში“. ნათელა ნიკოლაძეს კი მთელი 22 წელია, აღარ შევხვედრივარ. და აი, რამდენიმე დღის წინათ ქალბატონი ნათელა ტელეფონით შემეხმიანა, თბილისში ვარ და კარგი იქნება, თუ შევხვდებითო. ნინოც მახლავს, ჩემი დეიდაშვილიო.

მაშინვე წავედი. თან გიორგი ნიკოლაძეზე ჩემი ახალი წიგნი წავიღე — „უცნობი ფრანგი ბიჭუნა — გიორგი ნიკოლაძე“, რომელშიც სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ვამტკიცებ, რომ 10-12 წლის ბიჭუნა, რომელმაც ჰოლანდიელ ნიჩბოსნებთან ერთად 1900 წელს პარიზში გამართული ოლიმპიური რეგატის ფინალი მოიგო, როგორც მათმა მესაჭემ, და რომლის ვინაობის დადგენასაც ვინ იცის, რამდენი წელია, უშედეგოდ ცდილობენ ოლიმპიადების ისტორიკოსები, სწორედ გიორგი ნიკოლაძეა, იმ პერიოდში მშობლებთან და დებთან ერთად რომ იმყოფებოდა პარიზში.

მივართვი ქალბატონ ნათელას ეს წიგნი და მეორეც გავუწოდე — ეს ბატონ რეზოს ჩაუტანეთ-მეთქი. ქალბატონმა ნათელამ წიგნი კი გამომართვა, მაგრამ მერე ისეთი რამ მითხრა, მოულოდნელობისგან გავშრი:

— თქვენ არ იცით, რომ რეზიკო გარდაიცვალა!

არ ვიცოდი. საიდან უნდა მცოდნოდა! სამი დღის წინ დაეკრძალათ მონპელიეში.

ჩვენ იმ დღეს, სწორედ იმ წუთებში, როცა ასაფლავებდნენ, პანაშვიდი გადავუხადეთ ახალციხეშიო, — მითხრა ქალბატონმა ნათელამ. ახალციხეში მოღვაწე მამა ნიკოლოზი კარგად იცნობდა თურმე რეზო ნიკოლაძეს და მას გადაუხდია პანაშვიდიც და ქელეხიც.

რეზო ნიკოლაძეს ოთხი შვილი ჰყავდა: არნო (იგივე შოთა), ადელინი, ვალერი და კატრინი. უყვარდა ხოლმე ხაზგასმა — მეც ბაბუაჩემივით ბავშვთა ექიმი ვარ და ერთი ვაჟი და სამი ქალი მომცა ღმერთმაო! არნო ნიკოლაძე ალპინისტი იყო და 2001 წელს ელვამ ისმხვერპლა ეტნაზე. სხვებთან ერთად რეზო ნიკოლაძის მეუღლე, სამი შვილი და ცხრა შვილიშვილი მდგარა იმ შაბათს მონპელიეში ბაბუას გაჭრილ სამარესთან.

ხოლო მისი და ამ დროს უკვე თბილისში იყო. ისე უნდოდა ჩემი საქართველოში წამოსვლა, რომ გადამედო და გაეგო, ძალიან ეწყინებოდაო, ქალბატონმა ნათელამ. გარდაცვალების წინა დღეს ჩასულა მონპელიეში და უნახავს სულთმობრძავი. მეორე დღეს წამოსულა საქართველოში ნინოსთან ერთად.

მე გავიხსენე რეზო ნიკოლაძის ემოციური გამოსვლა ნიკო ნიკოლაძის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე თბილისში. გავიხსენე მისი სიტყვა ყოველთა ქართველთა კონგრესის დახურვაზე, სადაც იგი საფრანგეთის ქართული ემიგრაციის სახელით გამოვიდა. გავიხსენე ჩვენი ორდღიანი მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში, გავიხსენე და-ძმა ნიკოლაძეთა სტუმრობა ჩემთან სახლში.

მერე უხერხული პაუზა ჩამოვარდა და ქალბატონმა ნათელამ დელიკატურად გადაიტანა საუბარი ჯერ იმ წიგნზე, რომელიც ის-ის იყო მივართვი, მერე თავის ოჯახურ ბიბლიოთეკაზე, უფრო მერე გიორგი ნიკოლაძეზე და ბოლოს თავის დეიდაშვილზე — ნინოზე.

ნათელა ნიკოლაძის მეუღლე, ლუი ვილეკურტი ნახევრად ესტონელი იყო. ტარტუში სწავლობდა სამართალს. დიდხანს მუშაობდა ევროსტრუქტურებში ტექნიკისა და ხელოვნების დეპატრამენტების მთავარ ადმინისტრატორად და ოჯახიც დიდხანს ბრიუსელში ცხოვრობდა. შარშან აპრილში გარდაიცვალა 84 წლისა.

მთელი თავისი ბიბლიოთეკა — წიგნები თუ ჟურნალები ნიკოლაძე-ვილენკურტების ოჯახს აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციების ეროვნული ინსტიტუტის ბიბლიოთეკისთვის გადაუცია პარიზში. ხოლო ხელნაწერები და სხვადასხვა საარქივო მასალა ნათელა ნიკოლაძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ჩამოუტანია.

სწორედ ამაზე მესაუბრებოდა ნათელა, რომ ნინოც მოვიდა იმ თავისი 20-ლარიანი ტაქსით.

ნინო სტიუარტი ჟორჟეტა ღამბაშიძის და შოტლანდიელი გენერალ-მაიორის რობერტ ნილ სტიუარტის ასულია. რობერტ ნილ სტიუარტი პროფესიონალი სამხედრო იყო და დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში თბილისსა და ბათუმშიც უმსახურია, როგორც დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარის ოფიცერს, შოტლანდიელთა ბატალიონის მეთაურს და სამშვიდობო მისიის ხელმძღვანელს.

ნინომ მეილი მისწერა და იმავე საღამოს ჩემმა შოტლანდიელმა კოლეგამ რიჩარდ ბათმა ჟურნალ „სკოტიშფილდში“ დაბეჭდილი თავისი ნარკვევი გამომიგზავნა რობერტ ნილ სტიუარტზე. ამ ნარკვევიდან გავიგე, რომ ნინოს მამა დიდი ბრიტანეთის ორი სამხედრო ჯვრისა და საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი ყოფილა.

რიჩარდ ბათის ნარკვევიდან გავიგე აგრეთვე ვიქტორიანელი ჯენტლმენისა და თავგადასავალთა მაძიებლის ნილ სტიუარტის ჟორჟეტამდელი თავგადასავალი.

მეორე დღეს ნინოს ბრიტანეთის შავი ზღვის ჯარების სარდლის გენერალ ჯორჯ მილნის და მისი შტაბის ფოტო

და სივრცეში ნინო სტიუარტთან ერთად

კინლოხმოიდარტი

ვაჩვენე, ამათ შორის ხომ არ არის მამათქვენი-მეთქი. ეს ფოტო პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ გამომიგზავნა ჩემი თხოვნით. ნინომ ერთი შეავლო ფოტოს თვალი და, – არა, მამაჩემი შოტლანდიელთა ბატალიონის მეთაური იყო, კილტი ეცვაო. მერე შემპირდა, შინ რომ დავბრუნდები მამაჩემის იმ პერიოდის ფოტოს გამოგიგზავნითო.

როდესაც დაქვრივებული ჟორჟეტა პარიზში ჩავიდა, ბრიტანელი ოფიცერი უკვე გაშორებული იყო პირველ მეუღლეს და ჟორჟეტასთვის ხელი

არ არის გამორიცხული, რომ ჟორჟეტას მეორე მეუღლე ჯერ კიდევ იმ პერიოდში ტრიალებდა მის გარშემო.

1927 წლის 24 თებერვალს, როცა მათი მეგობრობა უკვე სიყვარულში იყო გადაზრდილი, ჟორჟეტა გიორგი ნიკოლაძეს სწერს თავის ერთ ინგლისელ მეგობარზე, რომელიც სავარაუდოდ სწორედ ნილ სტიუარტი უნდა იყოს:

„მე რომ ინგლისელ მეგობარზე გელაპარაკეთ, ის მართლა დიდი მეგობარია, მაგრამ არის ზოგიერთი რამე (როგორც მას ინგლისელს და მე ქართველს),

მაოდ ხშირად ვხედავდი. ქართული საზოგადოება სხვადასხვა საზეიმო თავყრილობაზე იწვევდა – სადილ-წვეულებებზე, საბალეტო წარმოდგენებზე და სხვა, მაგრამ მას, როგორც სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარეს, მიაჩნდა, რომ ვერ მისცემდა თავს უფლებას ამგვარი მოწვევები მიეღო. ჩვენი სახლი ფრანგებს, ამერიკელებს ხშირად მასპინძლობდა, მაგრამ ჩვენთან ნილის სტუმრობა არ შედგა. პარიზში რომ ვნახე, უკვე ექვსი წლის ნაცნობები ვიყავით, საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვიხსენებდით გარდასულ დღეებს, თბილისის ამბებს. ასე თუ ისე ცხოვრება ნელ-ნელა კალაპოტში დგებოდა. მხიარული განწყობა მიბრუნდებოდა, პირქუში წარსული დავიწყებას ეძლეოდა, ნილის ხელშეწყობით გიორგის არყოფნას თანდათან ვეგუებოდი“.

წლების მერე ჟორჟეტა სიამაყით ამბობდა, – ორი ქმარი მყავდა და ორივე ინტელექტუალი და სპორტსმენი იყოო.

პატარა სახლი მაქვს შოტლანდიაში და ერთი ძველი მოტოციკლეტი, რომელსაც გაჭირვებით ვმართავო, უთქვამს ჟორჟეტასთვის შოტლანდიაში გამგზავრებამდე ნილ სტიუარტს, უკვე მის მეუღლეს.

სინამდვილეში „ძველი მოტოციკოლეტი“ სარბოლო მოტოციკლის უახლესი მოდელი აღმოჩნდა, ხოლო თავად რობერტ ნილ სტიუარტი ცნობილი მოტომრბოლელი ყოფილა, არაერთი რბოლის გამარჯვებული, არაერთი რეკორდის მფლობელი. მაგრამ ნილ სტიუარ-

სად წაიყვანეს სადაურსა...

№118. სამშაბათი, 28 ივნისი, 2016 წელი.



გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება, რომ 6 ივნისს მონპელიეში გარდაიცვალა ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე

რევაზ ნიკოლაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ტის მთავარი გატაცება არა მოტოსპორტი, არამედ თევზაობა იყო. ომებს შორის შუალედში სხვა თითქმის არაფერი აინტერესებდა. სეზონურად ქირაობდა თურმე მთელ მდინარეს ან ტბას სადმე ისლანდიასა თუ ნორვეგიაში და თვეობით თევზაობდა. ანკესის გარდა სხვა არაფრით უთევზავია. პატარა თევზებს უკან აბრუნებდა წყალში. ერთი ზაფხულის ერთ თვეს 107 ორაგული დაუჭერია და 70 სანტიმეტრზე ნაკლები არც ერთი არ ყოფილა. არაერთი წიგნი აქვს დაწერილი მეთევზეობაზე. ხოლო მის მთავარ წიგნს, რომელიც 1953 წელს გამოიცა, „ნატურალისტის ფიქრები“ ჰქვია.

რაც შეეხება „პატარა სახლს“, როცა გენერალმა პირველად ჩაიყვანა ჟორჟეტა თავის სამშობლოში, ის თურმე მანქანის ფანჯრიდან გაფაციცებული ათვალიერებდა გზის პირას ჩარიგებულ პატარა, კოხტა სახლებს, ნეტა რომელია ჩვენიო.

– ეს არის? – მანქანის თითოეულ შეჩერებაზე ეკითხებოდა თურმე მეუღლეს, რომელიც ყოველ ჯერზე ღიმილით პასუხობდა, არ ეს არა, უფრო შორს არისო.

ჰოდა, უფრო შორს რომ წავიდნენ და შოტლანდიის მთიანეთს რომ მიაღწიეს და სოფლებიც რომ აღარსად იყო და მხოლოდ აქა-იქ ჩნდებოდა მწვანეში ჩაფლული ვეება სასახლეები, მანქანა ერთ-ერთი მათგანის წინ გაჩერდა, ხოლო სასახლიდან მრავალრიცხოვანი მოსამსახურეები გამოეფინნენ და თავიანთ ძველ ბატონსა და ახალ ქალბატონს შეეგებნენ.

მას შემდეგ ჟორჟეტა ღამბაშიძე ამ სასახლეში ცხოვრობდა 1981 წლამდე, გარდაცვალებამდე.

აჩვენე, ერთი, შენი სახლიო, – გადაულაპარაკა ნათელა ნიკოლაძემ და ნინო სტიუარტი თავის პლანშეტზე მაჩვენებს მამისეულ სასახლეს. ხომ არ გგონიათ, თავის ფაილებში შევიდა. არა, დაგუგლა „კინლოხმოიდარტი“ და მსოფლიო აბლაბუდამ მისი „სახლის“ უამრავი ფოტო ამოყარა.

ეს ვიქტორიანული სასახლე დიდი ბრიტანეთის მატერიალური კულტურის ძეგლია და მას სახელმწიფო იცავს. და როცა რამდენიმე წლის წინათ მისი რესტავრაცია გახდა საჭირო, სახელმწიფომ მთელი თანხის 80 პროცენტი გაიღო. დანარჩენი 20 პროცენტი კი ნინო სტიუარტმა მოიძია. გარდა იმისა, რომ იგი ნინო სტიუარტის სახლია, დღეს ეს სასახლე 4 ათას აკრზე გადაჭიმული თავისი ულამაზესი შემოგარენით და მრავალრიცხოვანი ნაგებობებით შეძლებული ხალხის საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახლავთ. მას შეუძლია ერთდროულად რამდენიმე ათეულ ადამიანს უმასპინძლოს. ასე რომ, თუ რომელიმე ახალშეუღლებული წყვილი თაფლობის თვის გატარებას უცხოეთში გადაწყვეტს, ვურჩევ, საამისოდ შესარჩევ ადგილთა შორის კინლოხმოიდარტიც შეიგულოს.

„კინლოხმოიდარტი ჩემთვის ძალზე ძვირფასია, – იხსენებდა ჟორჟეტა ღამბაშიძე, **– მიხარია, რომ ნინო, მრავალი სიძნელის მიუხედავად, ცდილობს, არ მოწყდეს ამ ადგილს და, ღმერთს ვთხოვ, დაუფასდეს ის შრომა, რასაც აქ დებს. ჩემთვის კი ეს მშვენიერი ადგილი უამრავი მოგონების აღმძვრელია და სწორედ აქ მენატრება ნილი ყველაზე მეტად“.**

ჟორჟეტა მუდამ თან დაჰყვებოდა მეუღლეს მოგზაურობებში და ნელ-ნელა თვითონაც კარგ მეთევზედ ჩამოყალიბდა. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ისინი ისლანდიაში იყვნენ სათევზაოდ. მაშინ სტიუარტი კვლავ დაბრუნდა სამხედრო სამსახურში, ჩრდილოეთ შოტლანდიის დაცვა იკისრა და მეორე მსოფლიო ომი გენერალ-მაიორის ჩინით დაასრულა.

2016 წლის ივნისის თბილისში კი დეიდაშვილები კინლოხმოიდარტში ერთად გატარებულ დროს იხსენებენ. ნინო მშობლების შესახებ მიამბობს და ჩვენ თითქოს წარსულ დროში და წარმოსახვით სივრცეში დავმოგზაურობთ.

1941 წელს უკვე ჯორჯეტად ქცეულ ჟორჟეტას, 38 წლისას ვაჟი შესძენია – მარტინი, რომელიც 9 თვისა გარდაცვლილა გულის თანდაყოლილი მანკით. ნინო ორი წლის შემდეგ დაბადებულა, 1943 წლის 2 იანვარს.

ახლა 73 წლის ნინო სტიუარტი ჩემს წინ ზის და ნათელასთან ერთად მიამბობს თავისი ცხოვრების შესახებ. თუმცა რას მიამბობს! ნამდვილი ბრიტანელია და თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარს – ორიოდე წინადადებაში ჩატია მთელი თავისი ბიოგრაფია.

ამ სახლში დავიბადე და გავიზარდეო. პარიზში ვმუშაობდი გამომცემლობაშიო. გავთხოვდი და გავშორდი და კიდევ გავთხოვდი და კიდევ გავშორდი და მერე კიდევ გავთხოვდიო.

მესამე ქმართან ორი შვილი ჰყავს, ქალ-ვაჟი – დევიდი და კლოდი.

– დევიდის ქორწილში მისი სამივე ქმარი მოვიდა და ძალიანაც მოილხინესო, – ქართულად „გააფრანგულა“ დეიდაშვილის ბრიტანული მონათხრობი ნათელა ნიკოლაძემ.

მერე ნინოს ვკითხე, დედათქვენი საქართველოზე თუ გელაპარაკებოდათ-მეთქი. არა, დედას არ უყვარდა ჩემთან თავის წარსულზე ლაპარაკიო. ან შეიძლება, პატარა ვიყავი და მე არ მაინტერესებდაო.

ვახტანგ ღამბაშიძის ქალიშვილთაგან ჟორჟეტას, ერთი შეხედვით, ყველაზე არაქართული სახელი ჰქვია. სინამდვილეში მას ეს სახელი მშობლებმა სწორედ საქართველოს სიყვარულით დაარქვეს – ფრანგულად საქართველოს ლა ჟორჟი ჰქვია. ინგლისურად – ჯორჯია. ხოლო ფრანგული ჟორჟეტა ინგლისურად ჯორჯეტად ჟღერს.

ჟორჟეტა-ჯორჯეტა ღამბაშიძე კინლოხმოიდარტშია დაკრძალული ნილ სტიუარტის გვერდით, რომელიც 1973 წელს გარდაიცვალა. კინლოხმოიდარტში განისვენებს აგრეთვე ვახტანგ ღამბაშიძე – 1951 წელს იგი ქალიშვილთან და სიძესთან სტუმრად მყოფი გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ.

ასე დავამთავრეთ დროში და წარმოსახვით სივრცეში მოგზაურობა და რეალურ სივრცეში სამოგზაუროდ წავედით.

ჩემი ნინო, ჩემი პირველი და ერთადერთი მეუღლე, მანქანის საჭეს მიუჯდა და ჩვენ საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუში ავედით, კუს ტბაზე.

ძალიან ისიამოვნეს სტუმრებმა. ნინო საერთოდ პირველად არის საქარველოში, ნათელამ კი გაიხსენა, პირველად რომ ვიყავი აქ, ახალი გახსნილი იყო და

რობერტ ნილ სტიუარტი

ნახევარი საუკუნის შემდეგ თავის მეორე მეუღლის შესახებ ჟორჟეტა ღამბაშიძე დაწერს:

„ნილი საქართველოში მენშევიკების რეჟიმის დროს 1921 წელს იმყოფებოდა – ქართველებსა და სომხებს შორის მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციას თავმჯდომარეობდა. იმ დროს იქ შოტლანდიელ მებრძოლთა ნაწილი იყო განთავსებული. გაგონილი გვქონდა, რომ მათ შორის იმყოფებოდა ვიცე-პოლკოვნიკი სტიუარტი, ხშირად ვხედავდით მას თბილისის ქუჩებში ამხედრებულს. მისი შტაბ-ბინა ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, ჩემი სკოლის მახლობლად. საკ-

რომელიც ერთმანეთს ვერ გავაგონეთ. არის რაღაც პატარა ხიდი ჩვენ შორის, რომელიც ზოგჯერ ძალიან დაგვაშორებს ერთმანეთიდან. იმასთან მე დროს ვკლავ, ვეუბნები ბევრ რამეს ჩემზედ, ის მიამბობს თავის ამბავს, ვკითხულობთ ერთად, ვლაპარაკობთ ბევრს, მაგრამ ჩემ გულთან და სულთან არაფერი საერთო არა აქვს. ეს სულიერი და გულის მისწრაფება შენსკენ არის და დარჩება, თუ გინდა, სამუდამოთ დავშორდეთ. მე იმ ადამიანს რომ ვუთხრა, ჩემი კარგო, რომ მე ასეთი გრძნობა მაქვს შენდამი, ვერ გამიგებს“...

ტრამპი თუ კლინტონი?



სირიაში რუსეთის აქტიურობამ ვაშინგტონის მოთმინების ფიალა აავსო!

სანკტ-პეტერბურგის ფორუმის გაკვეთილები

სანკტ-პეტერბურგში გამართულმა ეკონომიკურმა ფორუმმა ერთობ საინტერესო შთაბეჭდილება დატოვა. ფორუმის ფარგლებში არაერთ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომელიც მრავალმილიარდიანი ინვესტიციის საწინდარია და რუსეთის ეკონომიკისთვის უდიდესი შვება იქნება. მსოფლიოში ცნობილი კომპანიები მონაწილეობდნენ ფორუმში და მათთან ერთად 100-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი, სულ 12000 სტუმარი.

დიდი ბიზნესის ფორუმზე დასწრებამ თავისთავად გამოხატა პოლიტიკის მიერ ხელოვნური ბარიერის გადალახვის სურვილი. არანაკლები ზეწოლა იყო პოლიტიკოსებზეც — რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების ცხოვრებაში გატარების მიზნით. სანქციების მიზანი რუსეთის იზოლირებაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სანკტ-პეტერბურგს ევროკავშირის კომისიის თავმჯდომარე ჟან კლოდ იუნკერი, გაეროს გენერალური მდივანი პან გიმუნი ეწვია. ევროკომისიის თავმჯდომარემ საჯარო გამოსვლის დროს განაცხადა, რომ მის ვიზიტს რუსეთში ევროკავშირელი კოლეგები უარყოფითად იხილავდნენ.

ევროკავშირელებს არც იტალიის პრემიერ-მინისტრის მათეო რენცის ფორუმში მონაწილეობა მოეწონათ. აღარ ვამბობ დანარჩენ პოლიტიკოსებზე, რომლებიც უდავოდ „დაიმსახურებენ“ იმ კოლეგების გულისწყრომას, რომლებიც მხარს უჭერენ რუსეთის პერმანენტულ სანქციებში მოქცევას.

ფორუმზე სიტყვით გამოსულმა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დადებითად შეაფასა დასავლელ პოლიტიკოსთა და ბიზნესმენთა „თავგანწირვა“ და თქვა, რომ ბიზნესს სურს რუსეთთან კონტაქტები, ბევრს აქვს კიდევაც, მიუხედავად სანქციებისა, მაგრამ მსოფლიო მშვიდობისა და ეკონომიკური წინსვლისთვის უმჯობესია პოლიტიკამ ხელი არ შეუშალოს მას (ბიზნესს). გაითვალისწინებს თუ არა ამერიკულ-ევროპული პოლიტიკა პუტინის მოწოდებას, ძნელი დასაჯერებელია, რამეთუ მას სულ სხვა გეგმები ხიბლავს — რუსეთის იზოლაციაში მოქცევა, მისი ეკონომიკური დაძაბუნება, სამხედრო თვალსაზრისით დასუსტება, თვით რუსეთში ანტისახელისუფლებო გამოსვლების აგორება და მოქმედი ხელისუფლებისთვის წყლის შეყენება.

თუმცაღა, ვაშინგტონმა და ევროპამ ვერც შემოღებული სანქციებით მოახერხეს რუსეთის იზოლირება. მართალია, სანქციებმა ნეგატიურად იმოქმედეს რუსეთის ეკონომიკაზე, მაგრამ შეინიშნება პოზიტიური ძვრებიც. სანქციებმა აიძულეს რუსეთი, მიეხედა საკუთარი ეკონომიკისთვის, მეტი ყურადღება დაეთმო ეკონომიკის ისეთი დარგების განვითარებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება ნედლეულის, მათ შორის, ნავთობისა და გაზის ექსპორტს.

როგორც რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა სერგეი ივანოვმა განაცხადა — ეროვნულ ბიუჯეტში შესული თანხის 2/3 სწორედ არა ნავთობისა და გაზის ექსპორტის შედეგად შესული ფულია. მან ისიც აღნიშნა, რომ პირადად არ სურს ეკონომიკური სანქციების გაუქმება, ვინაიდან ის აიძულებს რუსეთს, მოიქცეს ანალოგიურად.

სანქციებმა ხელი შეუწყვეს რუსეთის ეკონომიკის განვითარებას, რამაც გამოიწვია მსოფლიო ბიზნესის შებრუნება რუსეთისკენ. პუტინისა და მსოფლიოს, მათ შორის, აშშ-ის ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს მყარად გამოიკვეთა მათი ინტერესი რუსეთში ინვესტიციების დაბანდებისა. შეხვედრაში მონაწილე უცხოელი ბიზნესმენების საერთო ქონება 10 ტრილიონ დოლარს აღემატება! ეს შთამბეჭდავი ციფრია.

იმ დროს, როდესაც ფორუმი რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე მსჯელობდა და ამ მიმართულებით ახალ პროექტებს ქმნიდა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კერიმ მუქარით განაცხადა, რომ რუსეთის სირიაში მოქმედებამ მოთმინების ფიალა აავსო.

კერის განცხადება რიგითად არ ჩაითვლება. მას სერიოზული დატვირთვა აქვს და მშვიდი ცხოვრების საშუალებას არც რუსეთს აძლევს და არც სხვას. მაინც რამ ათქმევინა კერის ეს წინადადება — პოლიტიკოსს, რომელიც თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ტელეფონით ელაპარაკება თავის რუს კოლეგას? მაინც რა ვითარებაა სირიაში, რაც აშშ-ს აძლევს საბაბს ასეთი განცხადების გაკეთებისა?

ფესვები ღრმადაა და აშშ-ის შიდა ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთობებისკენ მიდის. აშშ-ში წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანია ახალ ფაზაში გადადის — რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ჭიდილში — შესაბამისად ტრამპისა და კლინტონის ბრძოლაში. ტრამპი, არაპოლიტიკოსი, მილიარდერი, თავისი მოუზომავი განცხადებებით უდავოდ იპყრობს ამომრჩევლების ყურადღებას.

ტრამპი — ახალი სახეა, მიუხედავად მისი ასაკისა (70 წელი), ერთობ თანამედროვე, ვისთვის რადიკალური, ვისთვის მემარცხენე სოციალისტი. მისი განცხადებები ნატოსთან, რუსეთთან, ევროკავშირთან, დიდ ბრიტანეთთან დაკავშირებით აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის ყურს ეხამუშება.

და მართლაც, როგორ უნდა ესიამოვნოს კონსერვატორთა ყურს ტრამპის განცხადება, რომ ნატო დრომოჭმული ორგანიზაციაა — შექმნილი ვარშავის პაქტისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დღეს არც ერთია და არც მეორე და რატომ არის ნატო? რუსეთთან მოლაპარაკება და არა ეკონომიკური სანქციების დაწესებაა საჭირო.

სანკტ-პეტერბურგის ფორუმზე პუტინმა დადებითად შეაფასა ტრამპის განცხადებები, რამაც სერიოზული თავსატკივარი გაუჩინა ამერიკელ ნეოკონსერვატორებს.

დემოკრატი კლინტონი სწორედ ისაა, ვისაც ამერიკის პოლიტიკური წრეები უჭერენ მხარს, როგორც მორალურად, ისე ფინანსურად. ისინი მკაცრად აკრიტიკებენ ტრამპს, დასცინიან მას და ქარაფშუტა პოლიტიკოსად მოიხსენიებენ. მაგრამ არის კი ანტიტრამპული პოლიტიკა საკმარისი ტრამპის დასამარცხებლად?

ამერიკის საშინაო პრობლემებს საგარეოც ემატება — წარუმატებელი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, სირიის ფრონტზე რუსეთის გააქტიურება და არა მარტო სირიაში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთში. როდესაც ამ რეგიონის სტრატეგიული მოკავშირე ისრაელი მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს რუსეთთან, როდესაც პრემიერი ნეთანიაჰუ უკვე მერამდენედ ჩადის მოსკოვში პუტინთან სალაპარაკოდ (გაცილებით მეტჯერ, ვიდრე ვაშინგტონში), როდესაც თეირანში რუსეთის, ირანის, სირიის თავდაცვის მინისტრები სასწრაფო თათბირს აწყობენ, აშშ-ის ადმინისტრაციას აქვს თავსატკივარი. რაღაც ისეთი უნდა მოიძებნოს, რაც შიდა და გარე ვითარებას კარდინალურად შეცვლის, დაუმტკიცებს საკუთარ ხალხს და მსოფლიოს, რომ ამერიკა ლიდერი სახელმწიფოა და მასთან თამაში როგორც რუსეთს, ისე სხვებს ძვირი დაუჯდებათ.

ამერიკა არის პირველი ქვეყანა და არა რუსეთი ან ჩინეთი. აშშ-ის გარკვეული წრეები ე.წ. ქორები რახანია ჩასჩიჩინებენ „თეთრ სახლს“ და ადმინისტრაციას, რომ მხოლოდ ძალით არის შესაძლებელი რუსეთის ალაგმვა და ეს დემოკრატების ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს, თუ სურს ქვეყნის სათავეში დარჩეს კლინტონის სახით.

რუსეთის მტრის ხატობა აშშ-იც ისე მოქმედებს, როგორც საქართველოში, უკრაინაში, ევროკავშირში. მაგრამ ამ იმიჯს განმტკიცება სჭირდება, რისთვისაც ვაშინგტონმა წინასწარ იღვაწა. რახანია ბალტიისპირა ქვეყნები, პოლონეთი, სხვები გამუდმებით გაჰყვირიან მოსალოდნელ რუსულ აგრესიაზე. მათ ხმას უწყობენ უკრაინა და საქართველო და საერთო ძალისხმევით ისეთი სურათი იქმნება, თითქოს რუსეთი დღეს თუ არა, ხვალ შევარდება ბალტიისპირა ქვეყნებში, პოლონეთში და სხვაგან.

აშშ და ნატო იწყებენ ახლო აღმოსავლეთში სამხედრო პოტენციალის კონცენტრაციასაც, რომელიც გაცილებით მეტი იქნება რუსეთის, ირანის, სირიის ძალებზე. პენტაგონმა ხმელთაშუა ზღვაში უკვე გააგზავნა ავიამზიდები „ჰარი ტრუმენი“ და „დუაიტ ეიზენჰაუერი“ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის საბაბით. მალე მათ შეემატება ბელგია და დანია.

როგორც ცნობილია, ვარშავის ნატოს სამიტზე, რომელიც 8-9 ივლისს გაიმართება, ნატოს ყველა წევრ-ქვეყანას დაევალება „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ომში ჩართვა. მაგრამ მარტო „ისლამური სახელმწიფო“ არ არის საბაბი, აქ რუსეთიც მოიაზრება, რასაც პენტაგონი არც მალავს.

ამჟამად ე.წ. დემოკრატიული ძალები, რომლებიც აერთიანებენ ქურთებს, თურქებს და ზომიერ ექსტრემისტებს, წარმატებით იბრძვიან „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ბრძოლებს კოორდინაციას უწევს აშშ-ის სპეცდანიშნულების რაზმები. „ისლამური სახელმწიფოს“ დედაქალაქ რაქაზე შეტევა ორი მხრიდან მიმდინარეობს — ერთი, სირიის სამთავრობო ძალებია, რუსეთის ავიაციის დახმარებით, მეორე ქურთებისა და ე.წ. ზომიერი ტერორისტების გაერთიანება, რომელსაც აშშ უწევს კოორდინაციას. ამ უკანასკნელთა გამარჯვების შემთხვევაში სირიას დაშლა არ აცდება.

ვითარებას ძაბავს ისიც, რომ ამერიკელთა კოორდინაციით მიმდინარეობს შეტევა ლატაკიის, ალეპოს მიმართულებით. თუ მათ შეუერთდება ამერიკული ავიამზიდები და ნატოს ძალები, ვითარება კარდინალურად შეიცვლება ბაშარ ასადის საწინააღმდეგოდ. და არა მარტო...

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, რუსეთსაც შეეხება, არანაკლებ — ირანსაც. რას მოიმოქმედებს რუსეთი, დათმობს ის პოზიციებს, არის თუ არა შესაძლებელი „დიდთა“ დაპირისპირება? გახდება თუ არა სირია ანტირუსული კოლექტიური შეტევის საბაბი?

* * *

კიდევ ერთხელ თვალი გადავავლოთ შექმნილ ვითარებას — აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთში ამერიკა-ნატოს სამხედრო მანევრებს, უკრაინის არმიის გააქტიურებას დონეცკ-ლუგანსკის მიმართულებით, ომს სირია-ერაყში, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის დაძაბვას, ამერიკა-რუსეთის კინკლავს. ყოველივე ჩამოთვლილი აშკარა მაჩვენებელია ერთობ კრიზისული ვითარებისა, რომელსაც მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

მავანი მკითხავს — მერე, ჩვენ რაო. ის, რომ ამ ყველაფერთან ძალიან ახლოს ვართ. ის რომ, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები მოდის. ის, რომ აშშ-ის გარკვეული წრეები მხარს „ნაცებს“ უჭერს. ის რომ, უკმაყოფილო „ნაცები“ და მათი სატელიტები არჩევნებს გაყალბებულად გამოაცხადებენ, რასაც ქაოსი და შეხლა-შემოხლა მოჰყვება...

საქართველო არჩევნებისთვის ერთობ არასერიოზულად ემზადება, 30-ზე მეტი პარტიის მონაწილეობით. სხვებიც ემზადებიან, გაცილებით სერიოზულად. ეს აშშ-ში არსებული ძალებია, რომელთაც სხვა მიზნები ამოძრავებთ — ანტირუსული პლაცდარმის შექმნა. ასეთად ისინი „ნაცებს“ და მათ ბელადს — სააკაშვილს მიიჩნევენ.

რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ ეს ძალა დამარცხებულიყო და რაც მთავარია ჩემი ვარაუდი არ გამართლებულიყოს!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

სანკტ-პეტერბურგის ფორუმზე პუტინმა დადებითად შეაფასა ტრამპის განცხადებები, რამაც სერიოზული თავსატკივარი გაუჩინა ამერიკელ ნეოკონსერვატორებს.

დედამიწის ზურგზე

ლიბანში რამდენიმე თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა თავი სირიის საზღვრის მახლობლად: 6 კაცი დაიღუპა

კიდევ 19 დაიჭრა. თავდაპირველად იტყობინებოდნენ ორი ტერორისტის შესახებ, შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ისინი უფრო მეტნი იყვნენ. უკანასკნელად ლიბანში აფეთქების შესახებ იტყობინებოდნენ 12 ივნისს. მაშინ ქვეყნის დედაქალაქის ბეირუთის ცენტრში აფეთქდა ძლიერი ბომბი.

* * *

მეცნიერებმა გამოარკვიეს: ცვალებადი ამინდი ადამიანებს ნაკლებად მკაცრებად აძცევს

მკვლევარებმა შეამოწმეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ძალადობისა და აგრესიის დონე იზრდება ეკვადორთან მიახლოების დროს და გამოარკვიეს: ყველაფერი არაა დამოკიდებული ცხელ ამინდზე. ბევრ რამეში თვითკონტროლი დამახასიათებელია მათთვის, ვინც ცვალებად პირობებში ცხოვრობს. ხოლო ნაკლებად ცვალებადი კლიმატი ხელს უწყობს ცხოვრებას „ერთი დღით“.

* * *

ესპანეთში პარლამენტის არჩევნები სახალხო პარტიამ მოიგო

მან შეძლო, მოეგროვებინა ხმების 33 პროცენტი. შედეგად პარტიამ მიიღო 137 მანდატი 350-დან ესპანეთის პარლამენტის ქვედა პალატაში, რაც 14 დეპუტატით მეტია წინა კენჭისყრასთან შედარებით. მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობისათვის, რაც საჭიროა პრემიერის დამტკიცებისათვის პირველი მცდელობიდანვე, აუცილებელია, როგორც მინიმუმი, 176 ადგილი.

* * *

იტალიის სენატმა 27 ივნისს განიხილა რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების გაუქმების შესახებ

ვენეტოსა და საფრანგეთის სენატის კვალდაკვალ „პრორუსული“ რეზოლუცია განიხილა იტალიის პარლამენტმა. შედეგებს არ იტყობინებიან. ინიციატივის ავტორებს იმედი აქვთ, რომ ასეთი დოკუმენტის მიღება თვალებს აუხელს ევროპულ ხელისუფლებებს.

* * *

NYT: დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მიერ მიწოდებულ იარაღს სირიის ოპოზიციისათვის იპარავენ იორდანიაში

გამოცემის მონაცემებით, იპარავენ იარაღს მილიონი დოლარის ოდენობით როგორც იორდანიის სამხედროები, ისე სამეფოს დაზვერვის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სირიელი მეამბოხეების მომზადების პროგრამაში. შავ ბაზარზე, გამოცემის მონაცემებით, ხვდება კალაშნიკოვის ავტომატები, ნაღმსატყორცნები და ყუმბარმტყორცნები.

* * *

გამოკითხვამ აჩვენა შოტლანდიელთა მოუმზადებლობა ახალი რეფერენდუმისათვის ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობის შესახებ

ახალმა გამოკითხვამ, რომელიც შოტლანდიის მოსახლეობაში მოაწყვეს, აჩვენა, რომ ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის შესახებ ახალი რეფერენდუმის მოწინააღმდეგეთა რიცხვი ამჟამად დომინირებს ქვეყანაში. ადრე შოტლანდიის პირველი მინისტრი ნიკოლა სტერჯენი ამტკიცებდა, რომ „ახალი“ შოტლანდია გამოვიდოდა შეერთებული სამეფოს შემადგენლობიდან გამოსვლის მხარდასაჭერად.

◎ ბავშვზე ძალადობა სირცხვილია!

სოცმუშაკი, პოლიცია და დაჩაგრული მოზარდი

ახალი საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 22 ივნისს მესამე მოსმენით დაამტკიცა, სოციალურ მუშაკს უფლება მიენიჭება ძალადობის შემთხვევაში ბავშვი ოჯახის მოძალადე წევრისგან განაცალკევოს, ამ გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა კი დაისჯება 7 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობით ან გამოსასწორებელი სამუშაოებით ერთი თვის განმავლობაში. იმუშავებს თუ არა ახალი კანონი და შეცვლის თუ არა დღეს არსებულ სურათს? რა საფრთხეებს ხედავენ ბავშვთა უფლებების დამცველები სოცმუშაკებისათვის უფლებამოსილების გაზრდაში და როგორ მიიღეს ახალი პასუხისმგებლობა თავად სოციალურმა მუშაკებმა?

საქართველოს პარლამენტმა იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივი საკანონმდებლო ინიციატივა 74 ხმით დაამტკიცა – ასე შევიდა ცვლილებები „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში. თუ აქამდე სოციალურ მუშაკს უფლება არ ჰქონდა ბავშვის მოძალადისგან განცალკევების გადაწყვეტილება მიეღო და ამისთვის ის პოლიციის გადაწყვეტილებას ელოდა, ახლა ეს მისი პასუხისმგებლობაა.

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად,ბავშვის მოძალადე ოჯახის წევრისგან, კანონიერი წარმომადგენლისა თუ სხვა პირისგან განცალკევება კანონის უკიდურესი ზომაა. ამ დროს უნდა გაითვალისწინონ არასრულწლოვანის აზრიც, მისი ასაკისა და სიმწიფის ხარისხის მიხედვით. 14 წელს მიღწეულ არასრულწლოვანს უფლება აქვს, საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოსაც მიმართოს. სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსმა მარი წერეთელმა რადიო „თავისუფლებას“ განუმარტა, რომ ეს უფლება სოცმუშაკებს შეუძლიათ, გამოიყენონ იმ იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება:

„უნდა გვახსოვდეს, რომ ძალადობა არ არის მხოლოდ ფიზიკური ან სექსუალური ხასიათის. ეს, შესაძლოა, იყოს უგულებელყოფა, ფსიქოლოგიური ძალადობა და ა.შ. ასეთ დროს, როცა გადაუდებელი საჭიროება არსებობს, გადაწყვეტილებას იღებს სწორედ სოცმუშაკი. ოჯახიდან განცალკევების შემდეგ, ცხადია, ბავშვს აზრს ვეკითხებით, ვცდილობთ, მოვიძიოთ, მის გარშემო თუ არის რაიმე თანადგომის ქსელი, ვისთანაც ბავშვს აქვს გარკვეული ურთიერთობა, მიჯაჭვულობა, თუ არადა, ის გადადის სახელმწიფო ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში“.

სახალხო დამცველის აპარატმა ეს საკანონმდებლო ცვლილება დადებითად შეაფასა. ომბუდსმენის ოფისთან არსებული ბავშვთა უფლებების ცენტრის ხელმძღვანელი მაია გედევანიშვილი ამბობს, რომ, მართალია, ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანა უკიდურესი ზომაა, დღეს უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვის ოჯახში დატოვება მისთვის სასიცოცხლოდ საშიშია:

„ჩვენი აზრით, ეს არ არის ცუდი ცვლილება, რადგან ვფიქრობთ, რომ პროცესი უფრო სწრაფად წავა და გაადვილდება, როცა სოცმუშაკს არ მოუწევს ლოდინი, როდის მიიღებს პოლიცია რამე გადაწყვეტილებას. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ცვლილება პრაქტიკაში დაინერგოს, აღსრულების მექანიზმი განისაზღვროს, ამაღლდეს უწყებების პასუხისმგებლობა და სოცმუშაკების კვალიფიკაციაც“.

მაია გედევანიშვილმა გაიხსენა რამდენიმე დღის წინ მომხდარი ამბავი, როდესაც სოციალურმა მუშაკმა ვერაფრით მოახერხა პოლიციას გამოეწერა შემაკავებელი ორდერი და ეს მაშინ, როდესაც ოჯახში მშობლების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ორი ბავშვი იყო.

დადებითი ის მომენტია, რომ როდესაც არის გადაუდებელი შემთხვევა, როცა დრო არ ითმენს, სოცმუშაკი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ ჩნდება კითხვა: სოცმუშაკებს გავუზარდეთ უფლებამოსილება, თუ ამით მათზე გადავიტანეთ მთელი პასუხისმგებლობა?...

ანა არგანაშვილი, წარმომადგენელი ორგანიზაციისა „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ამ ცვლილების კანონში შეტანით ბავშვთა უფლებების ძირითადი არსი, ცხადია, არ იცვლება – ოჯახი, როგორც ბავშვის ბუნებრივი გარემო, იყო და რჩება პირველ არჩევნად და ბავშვისთვის საუკეთესო გარემოდ. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით იმდენად მძიმე ვითარებაა, რომ სხვა გამოსავალი, გარდა ბავშვის განცალკევებისა, არ არსებობს. ერთი მთავარი პირობა აქაც არის: ამ გადაწყვეტილებას წინ უნდა უძღოდეს ძალიან ფრთხილი და ღრმა კვლევა. თუ ყველაფერი აღმოჩნდება ამაო, ბავშვი უნდა გამოიყვანონ ოჯახიდან, რასაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა. გამორიცხული არც ის არის, რომ ოჯახი სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმოს და სასამართლოში იდავოს. ანა არგანაშვილი საკანონმდებლო ცვლილებაში დადებით მხარეებსაც ხედავს და საფრთხეებსაც:

„დადებითი ის მომენტია, რომ როდესაც არის გადაუდებელი შემთხვევა, როცა დრო არ ითმენს, სოცმუშაკი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ ჩნდება კითხვა: სოცმუშაკებს გავუზარდეთ უფლებამოსილება, თუ ამით მათზე გადავიტანეთ მთელი პასუხისმგებლობა? აქ იმის საფრთხეს ვხედავ, რომ არავითარ შემთხვევაში არც ერთმა სხვა უწყებამ, ვინც ასეთ დროს არის პასუხისმგებელი, არ უნდა ჩათვალოს, რომ მისი როლი რამენაირად შემცირდა. პირიქით, კოორდინაცია კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და უწყებებმა ერთად იმუშაონ“.

ანა არგანაშვილი ფიქრობს, რომ თუ სახელმწიფო კონკრეტულ რგოლს პასუხისმგებლობას უზრდის, მას ასევე უნდა გაუზარდოს სხვა უწყებებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა და, რაც მთავარია, რესურსი. მისივე თქმით, დღეს, მთელი საქართველოს მასშტაბით, მხოლოდ 238-მდე სოციალური მუშაკი მუშაობს და ეს, ამჟამად არსებული პრობლემების ფონზე, კატასტროფულად მცირეა.

„აბსოლუტურად ყველაფერს, დაახლოებით 21 სხვადასხვა მიმართულებით, აკეთებს ეს 238 სოცმუშაკი. თითოეულ მათგანს აქვს 200-დან 500-მდე საქმე. თავად წარმოიდგინეთ, რა ხდება, როცა 200 ბავშვი გეყლოდება და აქედან 100 ძალადობის მსხვერპლია. და წარმოიდგინეთ, რომ არც ერთი სხვა უწყება არ გეხმარებათ. ეს ხომ არის იმთავითვე განწირული, რომ არაფერი გამოვა. უფლებამოსილება კი გაეზარდათ სოცმუშაკებს, მაგრამ მათ არ გაუზარდეს არც ადამიანური და არც სხვა რესურსი – ბენზინი არა აქვთ, რომ სოფლებში იაროონ, სკამი, მაგიდა, ოთახი... ამ პირობებში, მე მეჩვენება, რომ მათთვის უფლებამოსილების გაზრდა არის, უბრალოდ, პასუხისმგებლობის გადატანა იქ, სადაც იციან, რომ ვერაფერი განხორციელდება“.

ანდრო დადიანი, თავმჯდომარე ორგანიზაციისა „პარტნიორობა ბავშვებისათვის“, მოელის, რომ სოცმუშაკების უფლებების გაზრდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების უფრო ეფექტიანად დაცვაზე იმოქმედებს. მისი აზრით, ის, რომ, ზოგადად, სოციალურ მუშაკებს საქართველოში აქვთ მცირე რესურსი, ბევრი ადმინისტრაციული და ყოფითი ხასიათის პრობლემა არ უნდა იყოს დაკავშირებული მათ მთავარ პასუხისმგებლობასთან – დაიცვან ბავშვები:

ჯანდაცვის სამინისტროშო აცხადებენ, რომ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მისი აღსრულების მექანიზმი დეტალურად იქნება გაწერილი, ამას მოჰყვება საინფორმაციო კამპანია და, როგორც მარი წერეთელი ამბობს, სისტემის ყველა თანამშრომელს ამ საკითხზე დამატებით ტრენინგი ჩაუტარდება.

ეკა ძევანიშვილი

◎ კაკალ გულში

უყურე ამ C ჰეპატიტის ბაცილას!

● **– მატარებელი გვირაბში არ ეტევა, ბოტანიკურ ბაღში ჰიდროელექტროსადგური (უზარმაზარი კაშხლით, გენერატორებით, გადამცემი ხაზებით დ.ა.შ.) შენდება, სააკაშვილი შემოდგომაზე დაბრუნდება, „რუსთავი-2“ თავისუფალი მედიასაშუალებაა, ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარია, ნაციონალებმა ახალი სახეები შეიყვანეს საარჩევნო სიაში, – ოთო, ელენე, რომანი...**

არადა, არსებობენ იდიოტი ქართველები, ვისაც ეს სჯერა და ნ-იანის შემოხაზვას აპირებენ...

ნამდვილად საჭიროა ფსიქიატრიული საავადმყოფოები, დროზე ააშენეთ, ქოცებო!

● **ბრიტანეთი გავიდა ევროკავშირიდან, მერე საფრანგეთი გავა, მერე დანია, მერე სომხეთი გავა ევრაზიული კავშირიდან, მერე რუსეთი, მერე ჩვენ დავრჩებით, მთელი ევროკავშირი და ევრაზიული კავშირიც ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით მთელი ნატო, თალიბანი, სირია და აღარ დავილევით და აღარ გადავშენდებით.**

● **სააკაშვილმა გამოვსწორდიო – თუ დაბრუნდა 75 სოფელს „დაკარგავს“, ვანო „მხოლოდ“ 1 გვამს მოითხოვს და რო დაგვიჭერს, ორგანოებს აღარ ამოგვაცლის.**

● **მიხეილ მაჭავარიანი: „კანონები თავის თავზე მოირგეს, ეს პარლამენტი ასე შევიდა ისტორიაში“ – ეს C ჰეპატიტის „ხადიაში“ ბაცილა ნახე რა!!! ქურდების შიშით კანონი შემოიღო, რომლის მიხედვითაც წინადადების, სიტყვის გულისთვის იჭერენ ხალხს!!! არა და, სიტყვის თავისუფლებისთვის მებრძოლებად მოაქვთ თავი!!! ეს მანდავუშკა ესა!!!**

ამათ ცხელი უთო და მისი ჯანი – ჯარში ეგრე ებრძოდნენ მანდავუშკებს!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ჭიდაობა

რვა წონიდან – შვიდი მედლით

ბუქარესტში დამთავრდა 21-წლამდელ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი გიორგი გოგშელიძე) რვიდან 7 წონაში მედლები მოიპოვა – 2 „ვერცხლი“ და 5 „ბრინჯაო“ (ექვსი „ოქრო“ რუსებმა, ორი კი აზერბაიჯანელებმა დაიმსახურეს). გუნდურ ჩათვლაში ჩვენები 64 ქულით მეორეზე გავიდნენ რუსების შემდეგ. ქართველთაგან ვერცხლის მედლები ერგოთ რობერტ დინგაშვილსა (55) და გივი მაჭარაშვილს (96), ხოლო შმაგი თოდუა (60), გიორგი სულავა (66), ტარიელ გაფრინდაშვილი (74), მექი სიმონია (84) და ზურაბ ურთაშვილი (120) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

დინგაშვილმა შარშან ამავე ტურნირზე „ბრინჯაო“ მოიპოვა, ოღონდ მაშინ 50-ში გამოდიოდა. ამჯერად საკვალიფიკაციო ეტაპზე უნგრელ ტომაშ რომანს 10:5 აჯობა, ბელარუსი დმიტრი ჰერასიმენკო წმინდად დაამარცხა –11:0, სომეხ მხითარ გრიგორიანს 9:2 მოუგო, ნახევარფინალში ბულგარელ სალიმ ნაიმ მიკაის 5:5-ზე ბოლო ქულის წყალობით სძლია. გადამწყვეტი პაექრობა ჩვენებურმა რუსეთელ აბაზგაჯი მაგომედოვთან 2:12 დათმო და მეორე ადგილზე გავიდა. მაჭარაშვილმაც ზედიზედ დაჯაბნა სლოვაკი გაბრიელ ტიუი –10:2, გერმანელი ილია მატუჰინი – 11:1, აზერბაიჯანელი მაგომედრასულ გაზიმაგომედოვი – 5:2, ფინალში რუსთა ევროპის შარშანდელ ჩემპიონ იური ვლასკოს დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში 2:3 დამარცხდა. ჩვენი გუნდიდან უმედლოდ მხოლოდ გიორგი ხაჩიძე (50) დარჩა.

გივი გაგუა

◎ კრივი

სამი - უნგრული ჯილდოთი

უკვე გაუწყეთ, რომ ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც უნგრულ კაპოშვარში გაიმართა, ცხრა ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა. ექვსი მათგანი ადრეულ ეტაპებზევე ჩამოშორდა შეჯიბრებას, სამი კი ნახევარფინალში გავიდა და, სულ მცირე, „ბრინჯაო“ დაიბევა. 66 კილოში ზურაბ მენაბდიშვილი ირლანდიელ ჯეკ კონროისთან დამარცხდა და მე-3 ადგილზე დარჩა. სამაგიეროდ, დანარჩენი ორი ქართველი გავიდა ფინალში: 50 კილოში ლექსო ხასაიამ უკრაინელ ეგორ ადეს აჯობა, ხოლო ალიკა ყიფიანმა გაბრიელ შიოპუს (რუმინეთი) მოუგო. გადამწყვეტ პაექრობაში ხასაიამ გერმანელი მეჰმეტ შორი დაჯაბნა და ჩემპიონობა მოიპოვა. კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა ყიფიანი, რომელმაც ფინალი რუს ილია პოპოვთან დათმო.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი

საპატიო მეათე ადგილზე

საქართველოს 20-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა (ირაკლი სვანიძე, დავით მესხი, გიორგი კოშაძე, გიორგი კვესელაძე, ალექსანდრე მერკვილიშვილი, ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, თორნიკე მატარაძე, ლაშა საჯაია, ლაშა ტაბიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, ოთარ გიორგაძე, ირაკლი ცხადაძე, გიორგი ცუცქირიძე, ბექა გორგაძე, გიორგი ხუროშვილი, უშანგი ჭეიშვილი, ლუკა გოგინავა, დემურ ეფრემიძე, ილია სპანდერაშვილი, დავით მოძღვრიშვილი, მირიან მოდებაძე, სანდრო ილურიძე) ინგლისში მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში სამი შეხვედრა დათმო, შემდეგ მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის პაექრობაში იტალიას აჯობა, ბოლო მატჩი კი საფრანგეთთან გამართა. ფრანგები, რომლებმაც შარშან ფინალში ჩვენი 18-წლამდელები 57:0, ხოლო წელს 42:0 დაამარცხეს, ამჯერად სამქულიანი სხვაობით მოგებას დასჯერდნენ. ანგარიში მე-6 წუთზე გაიხსნა — მეტოქემ ლელო გაგვიტანა. გელა აფრასიძემ ტაიმის მიწურულს ჯარიმით სხვაობა შეამცირა – 3:10. გამოუცდელობის გამო რამდენჯერმე ქართველმა მორაგბეებმა უპირატესობა ვერ გამოიყენეს. შესვენების შემდეგაც თანაბარი ბრძოლა გაგრძელდა და ფრანგებმა მხოლოდ 27:24 გაიმარჯვეს. ქართველები მე-10 ადგილს დასჯერდნენ.

გაისად 20-წლამდელ მორაგბეთა მსგავსი ჩემპიონატი საქართველოში გაიმართება.

ნატა ნიბლაძე

◎ ძალოსნობა

მსოფლიო თბილისში შეიკრიბა

საქართველოს დედაქალაქის ტანვარჯიშის სასახლეში 20-წლამდელ ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატში 64 ქვეყნის 307 სპორტსმენი იბრძვის მედლებისთვის. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის 12 წარმომადგენელი (რვა ვაჟი, ოთხი გოგონა, მთავარი მსაჯი მალხაზ ლომთაძე) მოსინჯავს ძალებს.

ასპარეზობის პირველ დღეს 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში (ქართველები ამ წონაში არ ასპარეზობდნენ) 265 კილოგრამით ოქროს მედალი ტაილანდელმა ვიტოონ მინგმოონმა მოიპოვა. ეკვადორელ რაფაელ პატრისიო ფერუზოლა ალავაზეს (236 კგ) „ვერცხლი“ ერგო, ხოლო 233 კილოთი მესამე იყო იაპონელი იუია სენოო.

მეორე დღეს 62 კილოში გოდერძი გოდაბრელიძე 264 კილოგრამით (119+145) მერვე ადგილს დასჯერდა.

ვაჟა ნოსირელი



◎ ევრო – 2016

ასეთია ოლიმპიური სისტემა

კი გვეგონა, პლეი-ოფში გასულთა ჭეშმარიტ შესაძლებლობებს მერვედფინალური შეხვედრები წარმოაჩენდა, მაგრამ მოლოდინი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა.

ასე მაგალითად, პოლონეთი სასწაულით გადაურჩა შვეიცარიას, რომლის ლიდერმა შაჩირიმ ულამაზესი „მაკრატელა“ გაიტანა, ხოლო პორტუგალიამ და ხორვატეთმა, გინდ დაიჯერეთ, გინდა არა – ძირითად დროში ერთხელაც ვერ დაარტყეს ერთმანეთის კარისკენ ზუსტად.

სხვათა შორის, „ევრო – 2016“-ის მასპინძლებმაც მხოლოდ შესვენების შემდეგ გატეხეს კუნძულელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, რაც სავარაუდოც იყო – გემახსოვრებათ მათი სკანდალური დუელი „მუნდიალ – 2010“-ის ფინალური რაუნდის საგზურისათვის, როცა „სამფეროვნებმა“ მეტოქე ანრის ხელის შემწეობით დაამარცხეს და მარტინ ონილის გუნდი კარგა ხანი ელოდა სარევანშო შანსს.

პოლონეთი – შვეიცარია 1:1 (პენალტებით – 5:4),
უელსი – ჩრდილოეთ ირლანდია 1:0,
პორტუგალია – ხორვატეთი 1:0 (დამატებით დროში),
საფრანგეთი – ირლანდია 2:1,
გერმანია – სლოვაკეთი 3:0,
ბელგია – უნგრეთი 4:0.

გიორგი ზოთაძე

◎ ფარიკაობა

„ბრინჯაომდე“ ცოტაღა დააკლდა

პოლონურ ტორუნში დამთავრდა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი. უკვე ვწერდით, რომ მოხმალავეთა ინდივიდუალურ პირველობაში ახალგაზრდებს შორის ევროპის სამგზის ჩემპიონმა სანდრო ბაზაძემ მე-5 ადგილი დაიკავა, ბექა ბაზაძე მე-9 ადგილზე გავიდა, მიხეილ მარდალეიშვილი მე-14 იყო, ხოლო საბა სულამანიძე 52-ე ადგილს დასჯერდა.

ოთხივე ქართველი მოფარიკავე შემდეგ გუნდურ შეჯიბრებაში ჩაება. საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა ბელარუსებთან დათმო – 36:45. მე-9 ადგილისთვის პაექრობაში ჯერ პოლონეთს აჯობა



- 45:42, შემდეგ კი უკრაინას სძლია – 45:39. ჩემპიონობა რუსებმა მოიპოვეს: ნახევარფინალში რუმინელებს მოუგეს, ხოლო ფინალში იტალია დაამარცხეს – 45:42. ვერცხლის მედლები აპენინელებს ერგოთ. ბრინჯაოს მედლებს რუმინელები დაეუფლნენ, რომლებმაც გადამწყვეტ პაექრობაში უნგრელები დაჯაბნეს – 45:32.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

ნახევარფინალში დამარცხდა



სოფიო შაფათავა წინა კვირას რომში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან ტურნირში მონაწილეობდა. ჩვენებურმა სამ მეტოქეს აჯობა: ავსტრალიელ ალისონ ბაის – 6:4, 6:0, მასპინძელ დებორა კიეზასა - 6:3, 6:2 და ჰოლანდიელ არანჩა რუსს — 2:6, 7:6, 6:4, ნახევარფინალი კი თავის მეწყვილე რებეკა სრამკოვასთან (სლოვაკეთი) წაგო – 3:6, 3:6. სლოვაკმა ჩოგბურთელმა მერე რეკალუკა იანისაც (უნგრეთი) სძლია – 6:1, 6:1 და პირველი ადგილი დაიკავა. შაფათავა აპენინებზე რჩება და დღეს იტალიის დედაქალაქში ახალ 50.000-იან ტურნირში ჩაებმება.

თამაზ პატარიძე

გაზზე მომუშავე მანქანების შესამოწმებლად ყველაფერი მზადაა



გარკვეულია კომპანია და ის კრიტერიუმები, რომლის მეშვეობითაც გაზზე მომუშავე ავტომობილების შემოწმება მოხდება. პროცესი რამდენიმე თვეში დაიწყება და ტექნიკური ინსპექტირება დაახლოებით 60 ლარი ეღირება.

გაზზე მომუშავე ავტომობილების შემოწმებას შპს „აირბალონი“ განახორციელებს. როგორც ცნობილია, აღნიშნული მომსახურების გაწევით 5-6 კომპანია იყო დაინტერესებული, თუმცა აკრედიტაციის ცენტრის მოთხოვნები ამ დროისთვის მხოლოდ ერთმა კომპანიამ დააკმაყოფილა.

აკრედიტაციის ცენტრში აცხადებენ, რომ ამ დროისთვის გაზზე მომუშავე ავტომობილების შემოწმებით კიდევ რამდენიმე კომპანიაა დაინტერესებული. აქამდე აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული არც ერთი ინსპექტირების ორგანო არ არსებობდა.

ხელისუფლებამ გაზზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ინსპექტირება მომდევნო წლამდე გადადო. შესაბამისი გადაწყვეტილება 2016 წლის მარტში მთავრობის სხდომაზე მიიღეს. შედეგად, რეგულაცია 2016 წლის 1 აპრილის ნაცვლად, 2017 წლიდან ამოქმედდება. ამის მიზეზი ისაა, რომ კერძო სექტორმა არ მოახდინა სერვისცენტრების შესაბამისი აღჭურვა, რათა მათ ინსპექტირება სწორად გაეკეთებინათ.

ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება 60 ლარი ეღირება. იმ შემთხვევაში, თუკი ავტომობილი ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, ეს ინფორმაცია გადაეცემა გაზგასამართ სადგურებს და ამ ავტომობილებს გაზს აღარ ჩაუტვირთავენ. ინფორმირებული იქნება ასევე პატრულიც.

სპეციალისტები ამბობენ, რომ აირბალონებს აქვთ საგარანტიო ვადა. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში, ბალონის გამოყენება დაუშვებელია. გარდა ვადისა, არის კიდევ გარკვეული დეტალები, რომლებსაც ტექნიკური რეგლამენტი ითვალისწინებს. შემოწმება მოხდება ყველა ამ დეტალის მიხედვით.

ამ დროისთვის არ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია, რამდენი ავტომობილი მუშაობს ბუნებრივ აირზე ქვეყანაში. არაოფიციალური მონაცემებით, ბუნებრივ აირზე მომუშავე მანქანების რიცხვი 250-300 ათასია.

გაზზე მომუშავე ავტომობილების შემოწმებისას აღმოჩენილ დარღვევებზე სანქციები გათვალისწინებული არ არის. დაისჯებიან მხოლოდ ის მძღოლები, რომლებიც შეუმოწმებელი ავტომობილით იმოძრავებენ. ასეთ შემთხვევაში მძღოლებს 100 ლარამდე ჯარიმის გადახდა მოუწევთ.

ბექა დანელია

ნინო ცინცაძე, ქეთი, ლადო, თემურ გერსამია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვლა

იზოლდა ქობულია

პანაშვიდი 28, 29 VI, გამოსვენება 30 VI, ვაკის სამების ეკლესიიდან.

მეუღლე მარი ჟღენტი, შვილები ხატია, ზურაბი, სიძე სერგეი დელსალი, შვილიშვილები ნიკოლოზი, სალომე, გიორგი, სოფია, ილია, რძალი ეკატერინე, ძმა ნოდარ კვარაცხელია ოჯახით, ძმისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ კვარაცხელია

პანაშვიდი 28, 29 VI, 17 სთ. დაკრძალვა 30 VI, 14 სთ. მისამართი: ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი 12, სართული IV.

ეროსი კიწმარიშვილის ოჯახი პროკურატურისგან საქმის მასალებს ითხოვს

ეროსი კიწმარიშვილის ძმა დარწმუნებულია, რომ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ შესაძლებელი გახდება მეტ კითხვაზე პასუხის მიღება.

„ვაპირებთ, პროკურატურას მოვთხოვოთ საქმეში არსებული ყველა ის ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც ჩვენ კანონით შეგვიძლია მათგან გამოვითხოვოთ, რათა ამ მასალებით უფრო მეტი სიახლე შევიტყოთ, ვიდრე ეს მოახერხა გამოძიებამ მთელი ამ ორი წლის განმავლობაში და ამ სიახლეებით შემდგომ უკვე წარვდგებით პროკურატურის წინაშე და მათგან გვაქვს პირობა, რომ ყველა საინტერესო ახალი გარემოებების შემთხვევაში ისინი გააგრძელებენ საქმის ძიებას და ჩვენ აუცილებლად ვნახავთ ასეთ გარემოებებს ამ მასალებში“, — განაცხადა ზურა კიწმარიშვილმა.

თავის მხრივ, როგორც კიწმარიშვილების ოჯახის ადვოკატი გაგი მოსიაშვილი ამბობს, არ არის გამორიცხული საქმე ევროსასამართლომდეც მივიდეს.

◎ ცროვრების წესი

„წუხელ ძალიან ბევრი დავლიე!“

როგორ ვუშველოთ საკუთარ თავს ნაბახუსევზე?

„პახმელია“ — ორგანიზმის ალკოჰოლით სერიოზული მოწამვლაა, რა დროსაც სხვაზე მეტი ზიანი ადგება თავის ტვინს, ღვიძლსა და გულს. მედიკოსებისთვის კარგადაა ცნობილი ეგრეთ წოდებული „სადღესასწაულო გულის“ სინდრომი — ესენია შეფერხებები გულის მუშაობაში, შიშის შეგრძნება, სისუსტე, ქოშინი. განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევებში ვითარდება გულის პარკების ფიბრილაცია — ამ სახიფათო მდგომარეობის დროს გული ქაოტურად იკუმშება და სისხლს ვეღარ ტუმბავს. თუკი გულის ბუნებრივ რიტმი სასწრაფოდ არ აღდგება, ყველაფერი შეიძლება ტრაგიკულად დასრულდეს — ექიმები ამას მოულოდნელ სიკვდილს უწოდებენ.

„სადღესასწაულო გულის“ სინდრომი ალკოჰოლის ჭარბად მიღების შემდეგ ნებისმიერ კაცს შეიძლება წარმოეშვას. ამიტომაცაა, რომ თუ „პახმელიაზე“ ყოფნისას ანდა ქეიფიდან სამი დღის ვადაში ზემოთ ჩამოთვლილმა სიმპტომებმა არ გაგიარათ, აუცილებლად გამოუძახეთ „სასწრაფო დახმარებას“ — თქვენ საავადმყოფოში დაწვენა გჭირდებათ.

მაგრამ, თუკი რიტმის დარღვევაც არ არის, „პახმელია“ მაინც მკურნალობას საჭიროებს, რაც არა მარტო შეამსუბუქებს სუბიექტურ განცდებს, არამედ შეამცირებს ინტოქსიკაციასაც, რომელსაც ძმრის ალდეჰიდი იწვევს (იგი ეთილის სპირტის დაშლის შედეგად წარმოიშვება).

წამლებიდან კარგი შედეგი აქვს ასპირინს, იბუპროფენსა და სხვა არასტეროიდულ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებს. მნიშვნელოვანია ვიტამინი B I (პირიდოქსინი), რომელსაც „პახმელიაზე“ მოქმედების ფართო სპექტრი ახასიათებს. მაგნიუმის დეფიციტის შევსება შეიძლება ასპარკამის ან პანანგინის მიღებით. მაგრამ წამლების როლის გადამეტებულად შეფასება მაინც არ ღირს, რადგან იდეალური საშუალებები არ არსებობს.

წყლის დეფიციტის შევსებისას არავითარ შემთხვევაში არ მიეძალოთ ჩვეულებრივ წყალს, ვინაიდან ამ შემთხვევაში თქვენ მხოლოდ გაიძლიერებთ წყალ-ელექტროლიტურ დისბალანსს. საუკეთესო საშუალებაა კიტრის ან კომბოსტოს მწნილის წვენი (და არა მარინადები!), ასევე ხაში, ჩიხირთმა, ხარჩოსა და მაწვნის წვნიანი, ასევე ცივი კომპოტები.

ამავე დროს, ეცადეთ, არაფრით დატვირთოდ გულის სისხლძარღვები — ნუ დალევთ მაგარ ყავას ან ჩაის, მოერიდეთ საუნაში შესვლას. კარგი საშუალებაა 0,5 ლიტრი ცხელი ჩაი, 8-10 კოვზი თაფლი და ერთი ლიმონის წვენი — ამ ნაზავში კომპონენტების შეფარდება იდეალურია. ძალიან კარგია ასევე ცივი საზამთრო, სასარგებლოა ასევე მაწონი და რძე.

„პახმელიის“ სამკურნალოდ საჭიროა ნაკლები იმოძრაოთ და მეტი იძინოთ. ასევე საჭიროა წყლის, კალიუმის, მაგნიუმისა და ადვილად შესათვისებელი ნახშირწყლების დეფიციტის შევსება და კუჭ-ნაწლავის მოქმედების ნორმალიზება.

◎ ბათუმი

იწმინდება სანიაღვრე არხები

ბათუმში სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ ქალაქის მასშტაბით, ივნისის თვეში წყალგამტარი არხების გაწმენდა 19 ქუჩაზე განხორციელდა.

აღნიშნული სამუშაოები ეტაპობრივად სხვა ქუჩებზეც გაგრძელდება. გარდა ამისა, არდაგანის ტბის მიმდებარედ, რუსთაველის, გორგილაძისა და ბაქრაძის ქუჩებზე დამონტაჟდა სანიაღვრე მილები და ჭები. სამუშაოებს შპს „ბათუმის წყალი“ ახორციელებს.

6 მაისის პარკში ძელსკამებს არემონტებენ

ბათუმში, 6 მაისის პარკში ძელსკამების სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ბათუმის მერიაში განმარტავენ, რომ რუსთაველის ქუჩის მხარეს არსებული 41 ძელსკამის ზედაპირი ლარიქსის მასალით შეიცვალა.

პარკში ეტაპობრივად 156 ძელსკამი გარემონტდება. დამატებით გაკეთდება და გაიღებება ძელაკები.

გარდა ამისა, რეაბილიტაცია ჩაუტარდება დრამატული თეატრის წინ, შადრევნის ირგვლივ არსებულ 10 ძელსკამს. განახლდება ქვის საყრდენო კონსტრუქცია და გაკეთდება ახალი ძელაკები.

აღნიშული სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან 30 330 ლარია გამოყოფილი.

მლეთაში დაშავებული მოზარდის მდგომარეობა სტაბილურია

მლეთაში, ლომისას სალოცავის ტერიტორიაზე დაშავებული 15 წლის გოგონას მდგომარეობა მძიმე არ არის. ამის შესახებ მედიანიუსს ღუდუშაურის სახელობის ერთიანი სამედიცინო ცენტრში განუცხადეს, სადაც მოზარდი მკურნალობას გადის.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, „112“-ში შეტყობინება შევიდა, რომ 15 წლის მოზარდს, ლომისას სალოცავის ტერიტორიაზე გადაადგილებისას ფეხი დაუცურდა და ტრავმა მიიღო. არსებული ინფორმაციით, გოგონა უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა გოგონა მლეთიდან თბილისში ვერტმფრენით გადმოიყვანეს და ღუდუშაურის სახელობის ერთიანულ სამედიცინო ცენტრში მოათავსეს.

„ამაგდარი“ რჩეულებს აჯილდოებს

ტრადიციად იქცა საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ და გაზეთ „საქართველოს ლირიკას“ (მთავარი რედაქტორი **ეთერ ფაცურია**) მიერ **მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამორჩეულ ადამიანთა დაჯილდოება.**

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ამ დღეებში საზოგადოება „ამაგდარის“ თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა **ვახუშტი ქიზიყურაშვილმა** საქართველოს

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს **გიორგი კეკელიძეს** „ამაგდარის“ სიგელი გადასცა.

წელს გამოკითხულთა უმრავლესობამ ამ ჯილდოს ღირსად გიორგი კეკელიძე მიიჩნია, რომელიც საქართველოს რეგიონებში, ქალაქებსა თუ სოფლებში წიგნებით და კომპიუტერებით ამარაგებს მოსახლეობას და სხვადასხვა ქალაქების დასასვენებელ პარკებში „წიგნების ბუდეებს აწყობს“.

ახალგაზრდა შემოქმედთან ერთად „ამაგდარის“ სიგელი გადაეცათ საქართველოში მოღვაწე ღვაწლმოსილ ადამიანებს: დირიჟორებს **ზაზა აზმაიფარაშვილს, რევაზ ტაკიძეს, გოგი ჭიჭინაძეს; ბაჩუკი გონაშვილს** — დედოფლისწყაროელ წარმატებულ ფერმერს, **რომან მჭედლიშვილს** — ბორჯომის ს.ს. „ფირუზის“ დირექტორს და **როინ მალაყმაძეს** — ბათუმის ინსტიტუტის პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს.

ნანა ჭიჭინაძე

ერიდეთ ყალბ ფულს, თაღლითები ზღვარს გადავიდნენ!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფულის ჯგუფურად დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ორი მოქალაქე დააკავა.

ბრალდებულები — ი. ნ. და მ. მ., წინასწარ შეთანხმებით ამზადებდნენ და ქ. თბილისში, სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებსა და ტაქსის მძღოლებზე სისტემატურად ასაღებდნენ კუსტარულად დამზადებულ ყალბ, ერთი და იგივე სერიული ნომრის მქონე 5, 10 და 20-ლარიან კუპიურებს, მათ შორის ახალი დიზაინის ბანკნოტებს.

ბრალდებულთა საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ყალბი ფულის დასამზადებელი მოწყობილობა და კუსტარული წესით დამზადებული ყალბი ფულის კუპიურები. კუსტარულად დამზადებული თანხა ასევე ამოღებულია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებიდან.

საჭიროა მეტი მოძრაობა!

ცხოვრების მჯდომარე წესი შინაგან განგაშთან დაკავშირებულ აშლილობას იწვევს.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სკოლის მოსწავლეები, რომლებიც პლანშეტთან დღეში 2 საათზე მეტს ატარებენ, განგაშის გრძნობას 36 პროცენტით უფრო ხშირად განიცდიან, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებიც კომპიუტერით გაცილებით ნაკლებად არიან გატაცებულნი. განგაშის გრძნობას იწვევს ძილის დარღვევა და მეტაბოლიზმი, რომლებსაც ცხოვრების მჯდომარე წესი პროვოცირებს.

საიდან მოდის საფრთხე

ფინელ მედიკოსთა კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ზოგიერთი წამლის მიღება ადამიანში აგრესიულობის დონეს ზრდის.

ამ დასკვნამდე მეცნიერები იმ პრეპარატების შესწავლის შედეგად მივიდნენ, რომლებსაც დამნაშავენი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის წინ ღებულობდნენ. აგრესიულობის ალბათობას ზრდიან ანტიდეპრესანტები და ანალგეტიკები, ყველაზე მეტად კი — ანთების საწინააღმდეგო ტკივილგამაყუჩებლები.

სიცოცხლის „ტრანსპორტი“

ყველამ ვიცით, რომ უჟანგბადოდ დედამიწაზე სიცოცხლე შეუძლებელია. ცოტა ხნის წინათ ჩურიუმოვ-გერასიმენკოს კომეტის გაზის ღრუბელში ჟანგბადი აღმოაჩინეს და მასმედიაში ცნობები გავრცელდა, ეს, შესაძლოა, იმის ნიშანია, იქ სიცოცხლეც არსებობდესო...

ის კომეტა, ძირითადად, წყლის ყინულისგან შედგება, რომელიც, მის მზესთან მიახლოებასთან ერთად, გამოსხივების ზემოქმედებით მტვრის ნაწილაკების შემცველ ორთქლად გადაიქცევა. ამის შედეგად წარმოიშვება მოლეკულური ჟანგბადი. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ კომეტებს სამყაროში სიცოცხლის გავრცელება შეუძლიათ? გამორიცხული არ არის, რომ შორეული კოსმოსიდან „უცხო სტუმრების“ შესაძლო „სატრანსპორტო საშუალება“ სწორედ კომეტები იყოს. მაგრამ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საამისოდ ჟანგბადი აუცილებელი სულაც



არ არის. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად სიცოცხლე უჟანგბადოდ, ეგრეთ წოდებული „ანაერობული“ ფორმით არსებობდა. თავად ჟანგბადი კი, შესაძლოა, დედამიწაზე უკვე ევოლუციის პროცესში გაჩნდა.

ფოსტალიონის გაუთავებელი... ომობანა

46 წლის ბრიტანელმა ფოსტალიონმა დეივ ოლდბერიმ 228 ათასი დოლარი დახარჯა კინოფილმ „ვარსკვლავურ ომებთან“ დაკავშირებული ნივთების კოლექციის შესაგროვებლად.

ინგლისელ ფანატს ამ ფანტასტიკური საგის მსახიობთა და გადასაღები ჯგუფის წევრთა ცხრა ათასზე მეტი ავტოგრაფი აქვს (!). ამის გარდა, მან სახლში „ვარსკვლავურ ომებთან“ დაკავშირებული აუარება წიგნი, პლაკატი, სათამაშო და სხვა სუვენირი შეაგროვა. მისტერ ოლდბერის ტანზე ფილმის გმირების დასტ ვეიდერისა და ობი-ვან ქენობის გამოსახულებიანი სვირინგები აქვს.

თავის სახლში გაჩერებას მისტერ ოლდბერი ყველა მსურველს 35 დოლარად სთავაზობს. სტუმართათვის მას თავისებური „ქცევის კოდექსი“ აქვს შემუშავებული. კერძოდ, „სინათლის მახვილის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ეზოში“, აკრძალულია სახლის გვერდითა კარიდან გასვლა, რადგან მას ძალის ბნელი მხარისკენ მივყავართ“ და სხვა.

...და თევზის ქონი

ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, მთლიანად გამორიცხონ რაციონიდან ყოველივე ცხიმიანი. რისი გაკეთებაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

გარდა „ცუდი“ ცხიმებისა, კვების პროდუქტებში არის ომეგა-3-ის კლასის „კარგი“ ცხიმები. თუ ცუდი ცხიმები ილექება სისხლძარღვების კედლებზე, აბრკოლებენ სისხლის მიმოქცევას და იწვევენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, ომეგა-ცხიმების მოქმედება პირდაპირ საწინააღმდეგო მაჩვენებელია. ისინი ამცირებენ სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, წინააღმდეგობას უწევენ ბალთებისა და თრომბების წარმოქმნას, ჯანსაღად ინახავენ გულსა და სისხლძარღვებს.

ომეგა-3 არის ცხიმიან თევზში. იმის გათვალისწინებით, რომ ხარისხიანი ზღვის თევზი — არც ისე ხელმისაწვდომი პროდუქტია, ღირს, წესად შემოვიღოთ თევზის ქონის მოხმარება.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **ალო**, ეს კრემლია? მთავრობაში მინდა მუშაობა!..

— თქვენ რა, სულელი ხართ?

— ეს რა, აუცილებელი პირობაა?

* * *

— **იცით**, როგორ გავახანგრძლივოთ სექსი სამ საათამდე?

— როგორ?

— დაიწყეთ იგი ორ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე.

* * *

— **დედი**, ქმარს უნდა გავცილდე. იგი ისე მეპყრობა, როგორც ძაღლს!

— მაინც რას შვება იგი, შვილო?

— ჩემგან ერთგულებას მოითხოვს!

— **რატომ** არ გადაარჩინე ცოლი, როდესაც იხრჩობოდა?

— მე ვერც მივხვდი, რომ იგი იძირებოდა. ისე ყვიროდა, როგორც მუდამ.

* * *

ზის ორი ელექტრომონტიორი ბოძზე, დასცქერიან ჩავარდნილ სადენს. ხედავენ, მოხუცი ქალი მოდის.

— ბებო, თუ შეიძლება, სადენი მოგვაწოდე.

ბებომ სადენი მიაწოდა.

— გმადლობთ, ბებო!

— ხომ ვამბობდი, ნოლია-მეთქი, შენ კი ფაზა, ფაზაა, იჩემებდი!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.243; ევრო - 2.560;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.343;
100 რუბლი - 3.496; თურქული ლირა - 0.781;
აზერბაიჯანული მანათი - 1.454;
1000 სომხური დრამი - 5.709

ამინდი 28 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +10,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +31
თბილისი:	ღამე +18,	დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE